An then, I hope, thou wilt be satisfied.

Juliet: Indeed, I never shall be satisfied

With Romeo, till I behold him ---- dead ----.

დიალოგში მოცემულია ოთხი ლოგიკური კალამბური. განვიხილავთ მხოლოდ ორ მათგანს. თავდაპირველად ქალბატონი კაპულეტი იყენებს ფრაზას **feel the loss**, რათა გამოხატოს ჯულიეტას მწუხარება ბიძაშვილის დაკარგვასთან დაკავშირებით. თუმცა, ჯულიეტა აგრძელებს საუბარს და ამბობს **feeling so the loss**, ფაქტობრივად გამოხატავს მწუხარებას რომეოს დაკარგვის გამო. მეორე მხრივ, ქალბატონი კაპულეტი იყენებს სიტყვას **friend** ჯულიეტას ბიძაშვილის აღსანიშნად, მაშინ როცა ჯულიეტა იმავე სიტყვას ხმარობს და გულისხმობს

რომეოს. სწორედ ესენია ლოგიკური კალამბურის ტიპური მაგალითები. იმპლიკაცია, იგულისხმება სხვადასხვა პიროვნება. კალამბურული ეფექტი აზრთა თამაშით მიიღწევა.

განხილულ კლასიფიკაციებში მოცემული კალამბურის სახეობების გრდა, არსებობს ასევე **ენათაშორისი (ორენოვანი) კალამბური, რეკურსიული კალამბური, ტრანსპოზიციური კალამბური, შედგენილი კალამბური** და სხვ.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ზოგადად. შემდეგ კი, უკვე ჩვენეული კლასიფიკაციის მიხედვით, ანალოგიურ მაგალითებს განვიხილავთ შემდეგ თავებში.

ენათაშორისი (ორენოვანი) კალამბური, კალამბურის ისეთი სახეა, სადაც სიტყვა უღერადობით ერთ ენაზე ჰგავს მეორე ენის სიტყვას. ძირითადად, მათი გამოყენება აისახება ანეკდოტებსა და იუმორისტულ ფორმებში. იუმორისტულ ეფექტს იწვევს ენათა შორის უმნიშვნელო დამთხვევაც კი. (Nash 1985 :145).

ასეთ შემთხვევაში არაა აუცილებელი სიტყვის მნიშვნელობის ზუსტი ცოდნა. კომიკური ეფექტი მოსაუბრეთა ენებს შორის უმნიშვნელო მსგავსებითაც მიიღწევა.

ასეთი სახის მეტყველებას *მაკარონულსაც* (Macaronic Language) უწოდებენ. მისი ომოფონური თარგმანი ორენოვანი კალამბურის ზოგადი ტექნიკაა. ეს საჭიროებს მსმენელის ან მოსაუბრის, ენათა ზედაპირულ ცოდნას მაინც. მაგალითად:

(1) José had just finished his English class, but to pass the teacher asked him one last question. Use the words **"green," "pink,"** and **"yellow"** in the same sentence.

José thought for a minute and then replied, "The phone go green, green, green, green, (ring) I pink (pick) it up, and I say yellow (hello).

ხოცემ თითქმის დაასრულა და ჩააბარა ინგლისურის კურსი, რომ მასწავლებელმა უკანასკნელი შეკითხვა დაუსვა. გამოეყენებინა სიტყვები **მწვანე, ვარდისფერი** და **ყვითელი** ერთსა და იმავე წინადადებაში. ხოსე სულ ერთი წუთით დაფიქრდა და უპასუხა: ტელეფონი რეკავს, მე ვიღებ ყურმილს და ვპასუხობ **ალო**.

ამ სიტუაციაში, ხოსემ სიტყვების ჟღერადობის საფუძველზე მოახდინა მათი იმიტირება. ტელეფონის ზარის ხმა ჟღერადობით შეადარა სიტყვას **green**, ყურმილის ალება **pick – pink–ს** და **yellow – hello -ს**. განხილულ მაგალითში, კალამბური ომოფონიისა და ომოგრაფიის საფუძველზე განხორციელდა, რამაც გამოიწვია ორაზროვნება და შედეგად მივიღეთ იუმორისტული ეფექტი.

ქართულ თარგმანში, ამ შემთხვევაში იუმორისტული ეფექტი არ ფიქსირდება, რადგან თარგმანში სიტუაცია იდენტურად არ გადმოდის.

ასევე რუსული იუმორი ირლანდიელ კაცზე, სადაც მოქმედება ხდება რუსეთის აეროპორტში.

(2) "I need two tickets to **Dublin**."

"Куда, **блин**?"

"To Dublin."

–„ორი ბილეთი დუბლინისაკენ“.

სად ჯანდაბაში?

–დუბლინში“.

მეორე ფრაზის მნიშვნელობა "Куда, блин?" ქართულად ნიშნავს „სად ჯანდაბაში“? პასუხი კი, ომოფონიის საფუძველზე გამაღიზიანებლად უღერს "Туда, блин!" , რაც ნიშნავს „იქ ჯანდაბაში“. იუმორისტული ეფექტი ორი ენის ფარგლებში ვითარდება.

რეკურსიული კალამბურის შემთხვევაში, კალამბურული სიტყვის მეორე ასპექტი განაპირობებს პირველი ნაწილის გაგებას. მაგალითად:

(1) "**π** is only **half a pie**."

არის მხოლოდ ნახევარი ღვეზელი.

(რადიუსი არის 180 გრადუსი, ანუ ნახევარწრე, ღვეზელი კი არის სრული წრე).

(2) "**Infinity** is not **in finity**".

უსასრულობა არ არის გარკვეულ საზღვრებში მოქცეული, ზღვარდადებული.

Infinity – უსასრულობა

Finite - ზღვარდადებული, შემოსაზღვრული

კალამბურული ეფექტი იქმნება ომოფონიის საფუძველზე.

ტრანსპოზიციური კალამბური არის რთული კალამბურული ფორმა ორი ასპექტით. იგი გულისხმობს სიტყვათა გარდაქმნას, გადაქცევას კარგად ცნობილ ფრაზად ან გამონათქვამად ან პირიქით – ცნობილი ფრაზის ან გამონათქვამის გაშარუებას, რასაც ცხადია თან ახლავს კომიკური ეფექტი. როგორც წესი, ტრანსპოზიციური კალამბურები ითვლება ყველაზე რთულად შესაქმნელ და გასაგებ კალამბურებად. განსაკუთრებით მათთვის, ვინც კალამბური არამშობლიურ ენაზე უნდა აღიქვას. ტრანსპოზიციური კალამბურის მაგალითებია:

(1) The Grapes of Wrath – მრისხანების მტევნები. ამერიკელი მწერლის ჯონ სტაინბეკის ცნობილი ნაწარმოების სათაურია. ფრაზა, თანამედროვე ინგლისურში ორი მნიშვნელობით გვხვდება. მეტყველებაში იგი ღვინის აღსანიშნად გამოიყენება. ასევე ნიშნავს ნაბახუსევს. სტაინბეკი ამ ფრაზას მეტაფორული მნიშვნელობით იყენებს დიდი მრისხანების გამოსახატად.

მისი კალამბურული ფორმა ასეთია: **The wrath of grapes** – მტევნების მრისხანება, რაც ნიშნავს იმ საშინელ მდგომარეობას, რომელიც თან ახლავს ნაბახუსევს: თავის ტკივილი, პირღებინების შეგრძნება, თავბრუს ხვევა, სისუსტე და სხვ. ანუ მრისხანება (აღნიშნული მდგომარეობა) გამოწვეული ყურძნის მტევნების (ღვინის) მიერ.

(2) "A mind is a terrible thing to waste" – გონების დაკარგვა საშინელებაა ანუ გონება ყველაზე ძვირფასი/მნიშვნელოვანი რამაა დასაკარგავად. ამ დევიზის აზრია „გაუფრთხილდეთ გონებას ყველაზე მეტად“. (the motto of the United Negro College Fund).

მისი კალამბურული ფორმა ასეთია: **waist is a terrible thing to mind.** (წელი არის ყველაზე საყურადღებო/გასაფრთხილებელი სხეულის ნაწილი).

ორაზროვნებას ქმნის ერთნაირი უღერადობისა და სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვები – **waste; waist** და ამავე დროს კონვერსია სიტყვისა – **mind / to mind**.

(3) "**Actions speak louder than words**" – მოქმედებები სიტყვებზე ხმამაღლა საუბრობენ.

კალამბურული ფორმა: **Words speak louder than actions**. (სიტყვები უფრო ხმამაღლა საუბრობენ ვიდრე მოქმედებები). ამ შემთხვევაში, აზრი შეიძლება ორნაირად გავიგოთ.

ა). ფრაზის სიტყვასიტყვითი თარგმანი ანუ სიტყვა უღერადია, გულისხმობს ხმას.

ბ). გადატანითი მნიშვნელობით ანუ საქმე და არა ლაპარაკი.

შედგენილი კალამბური, რომლის შემთხვევაშიც წინადადებაში ორი ან უფრო მეტი კალამბურია გამოყენებული.

(1) A man bought a cattle ranch for his sons and named it “Sun’s Ranch” because it was where the sons raise meat.

კაცმა იყიდა რანჩო (მსხვილი ფერმერული მეურნეობა) თავისი ვაჟებისათვის და უწოდა „მზიანი რანჩო“, რადგან ეს სწორედ ის ადგილი იყო, სადაც მისი ვაჟები გაიზარდნენ.

თუმცა, მისი სახელწოდებიდან გამომდინარე, “**Sun’s Ranch**” ანუ „**მზიანი რანჩო**“, იგულისხმება ფრაზის **where the sons raise meat** ომოფონური ვარიანტი **where the sun’s rays meet**.

მაგალითი აგებულია ომოფონურ „ფრაზულ“ კალამბურზე. კალამბური დაფუძნებულია ფონოლოგიურ მსგავსებაზე და არ გამოხატავს არანაირ იუმორს. უბრალოდ, სრულიად სხვადასხვა აზრია გადმოცემული მოცემულ ფრაზებში, რასაც შეიძლება ასევე ვუწოდოთ **კალამბურული ორაზროვნება**.

ეს რეალიზდება მეტყველებაში წარმოთქმის დროს.

(2) The wife reminds her husband of a congressman because she is always introducing new **bills** in the **house**.

ცოლი ქმარს კონგრესმენს აგონებს, რადგან იგი ყოველთვის ახალი საგადასახადო ქვითრებით წარსდგება ხოლმე მის წინაშე სახლში.

ამ რთული სტრუქტურის კალამბური რამდენიმე საინტერესო მომენტს შეიცავს, რომელთა ერთობლიობა ქმნის სიტყვათა თამაშის საინტერესო ეფექტს. პირველი, რაც თვალში ხვდება მკითხველს, არის ცოლისა და კონგრესმენის შედარება, რომლის საფუძველი, ანუ *tertium comperationis* იხსნება კალამბურის მეორე დონეზე (ანუ, იმპლიციტურ დონეზე, რომელიც აქტუალიზდება კალამბურების მეშვეობით. კერძოდ, ერთად განიხილება პოლისემანტური სიტყვების **bills** და **house** ორი მნიშვნელობა:

1) **bills** - 1. კანონპროექტი, 2. დანახარჯი, ანგარიში;

2) **house** - 1. პალატა, 2. სახლი, ოჯახი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კალამბურის გამოყენება დამახასიათებელია თითქმის ყველა დიდი მწერლის შემოქმედებისათვის. ისინი კალამბურს იყენებენ, სხვადასხვა მიზნით, კერძოდ, იუმორის, სარკაზმის, სატირის ან სხვა ეფექტის შექმნის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც ინტენციური ერთეული.

მეორე მხრივ, კალამბური იქმნება და გამოიყენება ასევე წინასწარი განზრახვის გარეშეც. კერძოდ, კოლოკიური მეტყველებისას. გამომდინარე იქიდან, რომ კალამბური იქმნება ომონიმის, ომოფონიისა და პოლისემიურობის საფუძველზე, ომონიმია, ომოფონია და პოლისემია კი, ყველა ენისთვისაა დამახასიათებელი, ბუნებრივია, რომ აღნიშნული ერთეულების საფუძველზე მეტყველებისას შეიქმნება ორაზროვნება და შედეგად ვიღებთ განსხვავებულ ინტერპრეტაციას.

განხილული კლასიფიკაციებიდან გამომდინარე, ჩვენეული კლასიფიკაცია შემდეგი სახით ჩამოვაყალიბეთ:

1. **ლექსიკურ – სემანტიკური კალამბური**
2. **სტრუქტურულ – სინტაქსური კალამბური**
3. **სტრუქტურულ - სემანტიკური კალამბური**

აღნიშნული კლასიფიკაციის მიხედვით, მომდევნო თავებში განვიხილავთ კალამბურის გამოყენებას ანეკდოტში, ლიტერატურასა და გამოცანებში. კერძოდ, კალამბურებს ანეკდოტებსა და ლიტერატურაში – თავი III. კალამბურები გამოცანებში – თავი IV. ამდენად, აქ მხოლოდ კლასიფიკაციის დასახელებით დაგვამაყოფილდებით.

აქვე აღვნიშნავთ, რომ რადგან კალამბურის დანიშნულებაა ორაზროვნებისა და იუმორისტული ეფექტის შექმნა, საჭიროდ მივიჩნით, რომ ჯერ განვიხილოთ იუმორის თეორიები და მისი შექმნის გზები, ანეკდოტის რაობა, მინსკის ფრეიმებისა და რასკინის სკრიპტების მნიშვნელოვნება, იუმორის შექმნისა და/ან დეკოდირებისას და სხვ. შემდეგ კი, უკვე გადავიდეთ უშუალოდ კვლევაზე კონკრეტული მაგალითების საფუძველზე.

ოქსიმორონი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიტყვათა თამაშის ლექსიკურ, სინტაქსურ და სემანტიკურ დონეზე განიხილება ლინგვისტური ერთეული ოქსიმორონიც.

ოქსიმორონი (ბერძ. oxymoron – გონებამახვილური სისულელე; oxy – მჭრელი, ბასრი, მახვილი და moron – უგუნურება) ემყარება ერთმანეთთან „შეუთავსებელ“, ურთიერთგამომრიცხავ ცნებათა დაკავშირებას, კონტრასტული ნიშნის გადატანას, რითაც ახალი ცნება ან ახალი წარმოდგენა იქმნება. იგი პარადოქსის ერთ-ერთი სახეა. მისი მხატვრული ფუნქციაა მოულოდნელობის ეფექტის შექმნა. ოქსიმორონი გარკვეულწილად პარადოქსადაც შეიძლება ჩაითვალოს. **პარადოქსი** ბერძნული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს – რწმენის მიღმა. იგი შეიძლება იყოს:

- ა). გამონათქვამი, რომლის ჭეშმარიტება ცხადია (ან მოჩვენებით ცხადია) და მას მიყვარათ წინააღმდეგობისაკენ.
- ბ). ფაქტი, რომელიც ეწინააღმდეგება ადამიანურ ინტუიციას.
- გ). არაბუნებრივი მოვლენა.

ამგვარად, მნიშვნელოვანი განსხვავება ოქსიმორონსა და პარადოქსს შორის ისაა, რომ პარადოქსში მოცემულია შესაძლო ჭეშმარიტება, მაშინ როცა ოქსიმორონში მხოლოდ საპირისპირო ფრაზებია მოცემული.

ოქსიმორონის გავრცელებულ მაგალითებს წარმოადგენს შემდეგი: **extremely average** – უზომოდ საშუალო, **objective opinion** – ობიექტური მოსაზრება, **original copy** - ორიგინალური ასლი, **virtual reality** – ვირტუალური რეალობა **Small giant** -პატარა გოლიათი, **Stupid genius** - სულელი გენიოსი, **Living dead** - ცოცხალი მიცვალებული და სხვ.

ოქსიმორონის გამოყენება დამახასიათებელია, როგორც ინგლისური, ისე ქართული ენისათვის. იგი ფართოდაა გავრცელებული ყოველდღიურ მეტყველებაში, რიტორიკასა და მხატვრულ ლიტერატურაში. (**მშრალი ღვინო, მჭევრმეტყველი დუმილი** და სხვ).

ყველა ზემოხსენებულ მაგალითში, ერთმანეთის საწინააღმდეგო, ურთიერთ გამომრიცხავ სიტყვათა შეხამებაა მოცემული.

პარადოქსის შემთხვევაში კი მოცემულია აზრი, მსჯელობა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება საყოველთაოდ აღიარებული მოსაზრებისაგან, ეწინააღმდეგება საღ აზრს (ზოგჯერ მხოლოდ ერთი შეხედვით). მაგ:

"What is the sound of one hand clapping?"

შეუძლებელია ერთი ხელით ტაშის დაკვრა.

არსებობს ოქსიმორონის სხვადასხვა სახეობა. მისი ყველაზე გავრცელებული ფორმა არის ზედსართავი სახელისა და არსებითი სახელის კომბინაცია. მაგ:

ინგლისელი პოეტის ალფრედ ტენისონის (Alfred Tennyson) ლექსში “Idylls of the Kings” (1856-1885), ორი ოქსიმორონია მოცემული.

(1) “And faith unfaithful kept him falsely true”.

Faith – რწმენა, ნდობა; ერთგულება; პატიოსნება.

Unfaithful – ორგული, მოღალატე, ვერაგი, ვერაგული, მუხანათური.

Falsey – მოტყუებით

True – სწორი, უტყუარი; ერთგული, სანდო, ჭკმმარიტი; ნამდვილი; ზუსტი (ასლი); კანონიერი, სამართლიანი; ნორმალური, წესიერი; მართალი, ალალი;

ოქსიმორონში, ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება არსებითი სახელისა და ზმნის კომბინაცია. მაგალითად: The silence whistles – დუმილი რეკავს. ანალოგიურად გადმოდის თარგმანშიც და ინარჩუნებს ოქსიმორონისათვის დამახასიათებელ აუცილებელ პირობას, პარადოქსულ, ურთიერთგამომრიცხავ აზრთა ერთდროულ გამოყენებას.

ოქსიმორონი ყოველთვის არ არის მარტივი ფორმით წარმოდგენილი, ერთმანეთის გვერდით მოცემული სიტყვათა წყვილი. იგი შეიძლება მოიაზრებოდეს წინადადების ან ფრაზის მნიშვნელობაში. ქვემოთ მოცემული ლექსი შეიცავს სხვადასხვა სიტუაციურ ოქსიმორონს. ოქსიმორონი გამოყენებულია ლექსის ყველა ხაზში.

(2) One fine **day** in the middle of the **night**,

Two **dead** boys **got up** to fight,

Back to **back** they **faced** each other,

Drew their swords and **shot** each other.

One was **blind** and the other couldn't **see**,

So they chose a **dummy** for a **referee**,

A blind man went to see fiar play,

A **dumb** man went to **shout** “hooray!”

A **paralysed** donkey **passing** by,

Kicked the blindman in the **eye**,

Knocked him through a nine inch wall,

Into a dry ditch and drowned them all.

A **deaf** policeman **heard** the noise,

And came to arrest the two dead boys,
If you don't believe this story's true,
Ask the **blind** man, he **saw** it too!

როგორც აღვნიშნეთ, ოქსიმორონი ამ ლექსის ყველა ხაზშია გამოყენებული. ლექსის პირველ ხაზში, One fine **day** in the middle of the **night**, ოქსიმორონის მაგალითია **day** და **night**. მეორე ხაზში, Two **dead** boys **got up** to fight – **dead** და **got up**. მესამე ხაზში, **Back to back** they **faced each other**, ოქსიმორონის მაგალითია **Back to back** და **faced each other**, ბოლო სტრიქონში კი, **Drew** their swords and **shot** each other – **Drew** და **shot**.

ოქსიმორონი განიხილება მხოლოდ მისი ინტენციურად გამოყენების არეალზე დაყრდნობით. ადამიანები მის გამოყენებას, ძირითადად მეტი სენტიმენტალობის, ემოციისა და გრძნობების გამოსახატავად მიმართავენ. წინამდებარე ლექსში ოქსიმორონი გამოყენებულია განზრახ, მკითხველზე შთაბეჭდილების მოხდენისა და გამოწვევის თვალსაზრისით.

კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ იშვიათ შემთხვევაში, ოქსიმორონი ფიქსირდება როგორც კალამბური.

მაგ: **pretty ugly**, სადაც კონტექსტში “pretty” შესაძლოა ნიშნავდეს „საკმაოს” და არა „მიმზიდველს”.

ოქსიმორონი როგორც პარადოქსი

ხშირად ავტორები, სტილისტური ხერხის – ოქსიმორონის გამოყენებას მიმართავენ იმ შემთხვევაში, როდესაც მათ სურთ ყურადღება გაამახვილონ შეპირისპირებაზე. ინგლისელი პოეტი და ჯარისკაცი უილფრედ ოუენი (Wilfred Edward Salter Owen) თავის ლექსში “The Send-off”, ჯარისკაცებს მოუწოდებს ფრონტის წინა ხაზისაკენ;

“lined the train with faces **grimly gay**” ამ შემთხვევაში, ოქსიმორონი **grimly gay** ხაზს უსვამს შეპირისპირებას. **grimly** – სასტიკად, მკაცრად; **gay** – მხიარული, თავქარიანი, რათა მკვეთრად გამოხატოს ჯარისკაცთა განწყობა, გრძნობები და ემოციები. მიუხედავად იმისა, რომ ჯარისკაცებს მამაცური გამომეტყველება აქვთ და მხიარულად იქცევიან, ფაქტობრივად მაინც არასასიამოვნოდ გრძნობენ თავს.

ასევე მაგალითები ქართული ლიტერატურიდან:

„თვალნო ლამაზნო, ვინ უძლს თქვენსა ძლიერს ბასრობას,

თუ არა სჭერეტდეს თქვენგან **სიკვდილში** თვით **უკვდავებას?**”

ნიკოლოზ ბარათაშვილი (1817–1845).

„შენ, სილამაზის **ნაზო გრიგალო**, შენგან აროდეს მომესვენება.”

გიორგი ლეონიძე (1899–1966)

„**დუმილი რეკავს**”. მუხრან მაჭავარიანი (1929)

„**მღერად ოხვრა, ლხენად გლოვა მებადა**”. (ა. ჭავჭავაძე)

„**გულში რაღაც მზიანი ჩრდილი იყო**“. (ი. ჭავჭავაძე)

ოქსიმორონია ზოგიერთი ნაწარმოების სათაური. მაგ: „**ცოცხალი ლეში**” (ლევ ტოლსტოი), „**მზიანი ღამე**” (ნოდარ დუმბაძე 1928–1984) და სხვ.

ამგვარად, ოქსიმორონი აქტუალურია, განზრახ გამოყენების თვალსაზრისით ლიტერატურაში, პიარ-ტექნოლოგიებში და სხვ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ავტორები ოქსიმორონის გამოყენებას, უმთავრესად იუმორისტული, სარკასტული ან სხვა ეფექტის შექმნის თვალსაზრისით მიმართავენ. მეტყველებაში კი, განსაკუთრებული გრძნობებისა და ემოციების გამოსახატავად.

ველერიზმი (ტომ სვიფტი)

ველერიზმი (ტომ სვიფტი), შემდეგი ლინგვისტური ერთეულია, რომელიც ნაშრომში ასევე განიხილება როგორც სიტყვათა თამაშის სახეობა ლექსიკური, სინტაქსური და სემანტიკური თვალსაზრისით.

ვებსტერის ლექსიკონის განმარტებით, ველერიზმი არის გამონათქვამი, მსგავსების გამოხატვა, რომელიც შედგება კარგად ცნობილი ციტატისაგან და აქვს სახუმარო, იუმორისტული გაგრძელება.

ველერიზმის ძირითადი სტრუქტურა/ფორმა ასეთია: “— —, **as – said when –**“, ან “**as – said to –**“. პირველი ნაწილი არის უწყინარი კლიშე ან ზმნა, რომელიც შენიღბულია დამცინავი ან ვულგარული დანამატით.

პარემიოლოგიაში არსებობს ერთეულები, რომლებიც მეტაფორულობითა და გამოკვეთილი სტრუქტურით ხასიათდებიან. (რუსიეშვილი 2003). სპეციალურ ლიტერატურაში, მათი კლასიფიკაციისა და სახელდების შესახებ რამდენიმე განსხვავებული აზრი არსებობს. მათ უწოდებენ „მიკროტექსტს, ციტატას.“ (Cirese 1969), „ველერიზმს“ (Taylor 1959). ა. ცირეზეს აზრით, ასეთი ერთეულები შეიცავენ რაიმე პირდაპირ ან ირიბად ნათქვამ აზრს, რომელიც მიჩნეულია ზოგად ჭეშმარიტებად, ა. ტეილორი კი ველერიზმად ისეთ ერთეულს მიიჩნევს, რომელიც უხეში, ზოგჯერ უწმაწური შეფერილობით გამოირჩევა და დიდაქტიკური მიზნით მისი გამოყენება მიზანშეწონილი არ არის. ჩვენი კვლევის თანახმად, ყოველთვის არ ვემხრობით ტეილორის მოსაზრებას, რადგან მეოცე საუკუნეში უფრო აქტუალური გახდა უწმაწური ფრაზების გარდაქმნა, უწყინარ, ქარაგმულ ფრაზებად, შემდეგი ფრაზის დამატებით. (As the bishop said to the actress).

თავად ტერმინი *ველერიზმი* წარმოიშვა ჩარლზ დიკენსის (1812–1872), „პიკვიკის კლუბის ჩანაწერებიდან“ (1836-37). სემ ველერი, მისტერ პიკვიკის

ერთგული მსახური და მამამისი ტონი, ცნობილი იყვნენ იუმორისტული ფრაზებისა თუ გამოთქმების გამოყენებით. სწორედ მათი პერსონაჟების მიხედვით გაჩნდა ეს ტერმინი. იმ თვალსაზრისით, რომ ველერიზმი სიტუაციისათვის შეუფერებელი, მცდარი ფორმით გამოიყენება, მათი გამოყენება სიტუაციას იუმორისტულ ელფერს მატებს.

თუმცა არც ჩარლზ დიკენსსა და არც სემ ველერს არ გამოუგონებიათ ასეთი ტიპის სიტყვათა თამაში, სემ ველერის ტენდენცია, მსგავსი გონებადამახვილობის გამოყენებისა, საწინდარი გახდა იმისა, რომ 1839 წელს, ნაწარმოების „პიკვიკის კლუბის ჩანაწერები“ გამოქვეყნებიდან მალევე, ასეთი სახის სიტყვათა თამაში, ხალხმა მონათლა როგორც ველერიზმი. გამოთქმა, რომელშიც შესაძლოა გამოყენებული იყოს ცნობილი ანდაზა, ციტატა, კლიშე და სხვა რაიმე სახუმარო „დანამატი“ გაგრძელება.

მსგავსი ერთეულები არსებობს ქართულშიც:

1. აქლემმა თქვა: ორმოცი კოზაკი გავზარდე და ტვირთი კი არცერთმა არ ჩამომაცილაო.
2. თევზმა თქვა: ბევრს ვიტყოდი, მაგრამ, რა ვქნა, პირი წყლით მაქვს სავსეო.
3. წყევლამ თქვა: სწორი გზა მაჩვენე, თორემ უკანვე დაგიბრუნდებიო.
4. ხემ თქვა: ცული მე რას დამაკლებდა, შიგ ჩემი გვარისა რომ არ ერიოსო.
5. ვალმა სთქვა: ჭუჭრუტანაში შემოგოგრები და კარებში კი ვეღარ გავეტევიო.
6. ტყემ თქვა: ცულმან გვღვა მუსრია, ტარი კი ჩვენგან უყრია.

როგორც ვთქვით, სემ ველერი აქტუალურად იყენებდა კალამბურულ, მეტაფორულ წინადადებებს. რაც დღესაც ასევე აქტუალურია. ველერიზმში გამოყენებული ანდაზა სახუმარო და იუმორისტული ხდება, რადგან იგი მოცემულ სიტუაციაში მცდარადაა წარმოდგენილი, მისი სალიტერატურო მნიშვნელობისაგან განსხვავებით. ამ თვალსაზრისით, ველერიზმი, რომელიც ანდაზას შეიცავს ანტი – ანდაზის სახეს წარმოადგენს. (Mieder 2004)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ველერიზმი სამი ნაწილისაგან შედგება: ანდაზის ან გამონათქვამის, მოსაუბრისა და იუმორისტული სიტუაციისაგან. მაგ: “Everyone to his own **liking**,” the old woman said when she **kissed** her cow.

ველერიზმში, სიტყვათა თამაში ხორციელდება შემდეგი სიტყვების საშუალებით. **Liking, kissed.** ამ შემთხვევაში, სიტყვა **Liking** ასოცირდება სიტყვასთან **licking**, რომელიც აზრობრივი მნიშვნელობით უკავშირდება სიტყვას **kiss.**

წინადადების მეორე ნაწილში ხდება ტერმინალების გადართვა და შედეგად ვიღებთ სახალისო სიტუაციას. სიტყვათა თამაში ხორციელდება ვერბალურ დონეზე.

(1) **I see**, said the **blind** man, when he couldn't see at all.

ფრაზა **I see** ორაზროვნადაა გამოყენებული ველერიზმში. **I see** ინგლისურიდან ითარგმნება, როგორც **1. გასაგებია; 2. მე ვხედავ.** ასევე მნიშვნელოვანია სიტყვა **blind.** სწორედ ამ ორ ურთიერთგამომირცხავ სიტყვათა კონტრასტი ქმნის იუმორისტულ სიტუაციას მოცემულ მაგალითში, რადგან შეუძლებელია ბრმა ადამიანი ხედავდეს.

(3) “My garden needs **another layer** of mulch”, Tom **repeated.**

Another layer - სხვა ფენა

Repeat(ed) - გამეორება

ასეთ შემთხვევაში სიტყვათა თამაში ხორციელდება, სიტყვათა სინონიმური მნიშვნელობის საფუძველზე ანუ ხდება აზრებით თამაში.

(4) “I’m going to **end it all**”, Sue **sighed.**

„ვაპირებ ყველაფერი დავასრულო” ამოიოხრა სიუმ.

“**Sue sighed**” უღერადობით ჰგავს სიტყვას **suicide** (თვითმკვლელობა), გარკვეულწილად მინიშნება მოცემულია თავიდანვე (ყველაფრის დასრულება – to end all).

Sue sighed (როგორც “**suicide**” = to kill oneself).

(5) “This is the real **male goose**”, said Tom producing the **propaganda**.

propa (როგორც “**proper**”= real) + **ganda** (როგორც “**gander**” = male goose).

ეს მაგალითიც განიხილება ველერიზმების კატეგორიაში.

(6) “I have a **split personality**,” said Tom, **being frank**.

მაგალითის პირველ ნაწილში მოცემული ფრაზა **split personality** და მეორე ნაწილის ფრაზა **being frank** ქმნიან ველერიზმს მათი შინაარსობრივი დატვირთვის გამო.

split personality – წინააღმდეგობრივი ნატურა (მატყუარა)

being frank - გულწრფელი, პატიოსანი.

(7) “I love **hot dogs**,” said Tom with **relish**.

წინამდებარე მაგალითში, ველერიზმს ქმნის ორი აზრობრივად საპირისპირო სიტყვა.

hot - გაცხარებული, გაცოფებული

relish - დიდი სიხარული, კმაყოფილება; „აჯიკა“

ძირითად წინადადებაში გადმოცემულ აზრს სხვა მნიშვნელობაც აქვს, **hot dogs**, როგორც საკვები, რაც ველერიზმის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას გვაძლევს.

არსებობს ველერიზმების სპეციალური ლექსიკონი. პირველი ნამუშევარი ველერიზმებზე ჩაიწერა ინგლისურად. გამოყენებული იყო პერიოდული

ლიტერატურა და სხვა საგანმანათლებლო წყაროები. ნაშრომი შექმნეს მიდერმა და კინგსბერმა (Mieder & Kingsbury), მათ მიერ შეგროვებულ მასალებზე დაყრდნობით. გამოიყენეს 1500 ტექსტი, რომელიც მოიძიეს ბრიტანულ, ამერიკულ, კანადურ და სხვა ინგლისურენოვან ლიტერატურასა თუ ზეპირმეტყველებაში. მიდერის წინასიტყვაობა, ბიბლიოგრაფია და ვრცელი მიმოხილვა, განმარტავს ველერიზმის ისტორიასა და მნიშვნელობას. ველერიზმების ლექსიკონი არის როგორც გასართობი, ისე ინფორმაციული. იგი ერთნაირადაა საინტერესო სხვადასხვა კულტურული თუ საგანმანათლებლო სფეროებისათვის.

ველერიზმის განსაკუთრებულ სახეობად ითვლება **ტომ სვიფტი (Tom Swifty)**, რომელიც შეიცავს ზმნიზებას და განსაზღვრავს მის კავშირს წინადადებასთან. ანუ ძირითადი სიტუაცია ზმნიზებაა. ზმნიზება წინადადებაში გრამატიკულადაც სწორადაა გამოყენებული და, ამავე დროს, ძირითადი იუმორისტული აზრის მატარებელიცაა. (Lundin 2011:11-20).

ტომ სვიფტის სრუქტურა ნაწილობრივ ემთხვევა ველერიზმის სტრუქტურას, რადგან კალამბურული ზმნიზება განსაზღვრავს მის კავშირს წინადადებასთან განსხვავებით ველერიზმისა. ზმნიზების არსებობა კი, აუცილებელ პირობას არ წარმოადგენს ველერიზმის შემთხვევაში.

ტომ სვიფტის სახელწოდება გაჩნდა (1910–1993) სერიული წიგნების გამომცემის სახელის მიხედვით. ავტორი ედუარდ სტრემეიერი, ფსევდონიმით ვიქტორ აფლიშენი (Edward L. Stratemeyer / Victor Appleton).

მთელი მისი წიგნების სერია, ასახავს სიტყვათა თამაშის ამ სახეობას. იგი იშვიათად გამოხატავს სათქმელს მრავლისმთქმელი ზმნიზების გარეშე. როგორც უკვე ვთქვით, ტომ სვიფტი იუმორის მატარებელი ზმნიზებაა. მაგ:

(1) “The doctor had to remove my left **ventricle**,” said Tom **half-heartedly**.

Ventricle – გულის პარკუჭი

half-heartedly - გაუბედავად

სიტყვასიტყვით თარგმნის შემთხვევაში, ნახევარი გულით.

(2) "Your **Honour**, you're crazy!", said Tom **judgementally**.

Your Honour - (თქვენო ღირსება) ასე მიმართავენ მოსამართლეს.

Judgementally – განხილვით, სასამართლო მსჯელობით.

(3) "Pass me the **shellfish**", said Tom- **crabbily**.

Shellfish – მოლუსკი, კიბოსნაირთა კლასის წარმომადგენელი

Crab – კიბორჩხალა

(4) "I **swallowed some of the glass** from that broken window," Tom said **painfully**.

ჩვეულებრივ, მინის ნატეხის ჩაყლაპვა მტკივნეულია ან/და გამოიწვევს ტკივილს.

ჩვეულებრივ **ტომი** არის მოსაუბრე. ზოგჯერ სიტყვათა თამაში მოცემულია საკუთარი სახელის ფორმაში, ამიტომ აქედან გამომდინარე შესაძლოა სულ არ იყოს ნახსენები სახელი ტომი, მაგრამ მაინც **ტომ სვიფტის** მაგალითზე ვსაუბრობდეთ. მაგ:

(5) "Who discovered **radium**?" asked Marie **curiously**.

„ვინ აღმოაჩინა რადიუმი?“ იკითხა მარიმ ცნობისმოყვარეობით.

მაგალითში სიტყვა **curiously**, უღერადობით ჰგავს ქიმიური ნივთიერების რადიუმის აღმომჩენის, მარი კიურის გვარს. მინიშნება მოცემულია კითხვაში.

(6) "The cat sounds as if she's happy now she's been fed," said Tom **purposefully**.

იმისათვის, რომ მივხვდეთ *ტომ სვიფტის* მნიშვნელობას, საჭიროა გავშიფროთ ზმნიზება **purposefully**, რომელიც ძირითადი აზრის მატარებელია და ახდენს სიტყვათა თამაშის დეკოდირებას.

pur (როგორც “**purrr**” - კრუტუნნი) + **pose** (როგორც “**pussy**” - ფისო, კატა) **full** (როგორც – მაძღარი, დანაყრებული).

ამგვარად, ველურიზმები და მისი სახეობა ტომ სვიფტი მხოლოდ წინასწარი განზრახვით შეიძლება იყოს გამოყენებული, მათი აგებულებისა და სტრუქტურის გამო. აღნიშნული ტერმინები ძირითადად გამოიყენება ლიტერატურაში, ფიქსირდება ასევე პარემიულ ფორმებში, იუმორისტული და სატირული ეფექტის მოსახდენად.

საინტერესოა აგრეთვე, მათი გამოყენება სწავლებისა და სწავლის პროცესში, რაც თავისთავად აღვიძებს ენის შემსწავლელთა სურვილს, გაშიფრონ ან მიხედნენ, თუ რა იგულისხმება სიტყვებს მიღმა ან როგორ ხორციელდება თამაში სიტყვებითა თუ ფრაზებით.

პირველი თავის ქვეთავებში **12 სიტყვათა თამაში ლექსიკური, სინტაქსური და სემანტიკური თვალსაზრისით** და **13 კალამბურის ტიპოლოგია** განვიხილეთ, შემდეგი სახის ლინგვისტური ერთეულები. კერძოდ, კალამბური, ოქსიმორონი, ველურიზმი (ტომ სვიფტი).

დადგინდა განსხვავება სიტყვათა თამაშსა და კალამბურს შორის. განვიხილეთ ასევე კალამბურის რაობა და მისი კლასიფიკაცია სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრებების მიხედვით. მათი კლასიფიკაციის საფუძველზე ჩამოვაყალიბეთ ჩვენული კლასიფიკაცია, რასაც უკვე დაწვრილებით განვიხილავთ შემდეგ თავში.

გამოიკვეთა, რომ კალამბური შეიძლება განვიხილოთ, როგორც ინტენციურობის ასევე არაინტენციურობის კრიტერიუმზე დაყრდნობით. რადგან, კალამბურის გამოყენება დამახასიათებელია თითქმის ყველა მწერლის შემოქმედებისათვის და ისინი კალამბურს იყენებენ იუმორის, სარკაზმის, სატირის ან სხვა ეფექტის შექმნის მიზნით, აქედან გამომდინარე, იგი მიიჩნევა ინტენციურ ლინგვისტურ ერთეულად.

კალამბური გამოიყენება ასევე არაინტენციურადაც. კერძოდ, კოლოკიური მეტყველებისას. გამომდინარე იქიდან, რომ კალამბური იქმნება ომონიმის, ომოფონისა და პოლისემიურობის საფუძველზე და ეს უკანასკნელი, თითქმის ყველა ენისთვისაა დამახასიათებელი, ბუნებრივია, რომ აღნიშნული ერთეულების საფუძველზე ჩვეულებრივი მეტყველებისას შეიქმნას ორაზროვნება და შედეგად მივიღოთ სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. ასეთ შემთხვევაში კალამბური წინასწარ განზრახული არ იქნება.

რაც შეეხება ოქსიმორინს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საუბრისას ადამიანები მის გამოყენებას, ძირითადად მეტი ემოციისა და გრძნობების გამოსახატავად მიმართავენ. ოქსიმორონი ასევე განზრახ გამოიყენება ლიტერატურაში, შოუებსა და სხვა, მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოხდენისა და გამოწვევის თვალსაზრისით.

კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ იშვიათ შემთხვევაში ოქსიმორონი ფიქსირდება როგორც კალამბური.

ველერიზმებისა და მისი ერთი სახეობის ტომ სვიფტის წარმოება წინასწარ განზრახულია, რადგან აუცილებელია კავშირის გაბმა ძირითად წინადადებასა და ველერიზმს შორის (ველერიზმის შემთხვევაში), ან ძირითად წინადადებასა და ზმნიზედურ სიტყვათა თამაშს შორის (ტომ სვიფტის შემთხვევაში). ორივე ერთეულის გამოყენების პრაგმატიკული ფუნქცია იუმორის, ირონიის ან სატირის შექმნაა.

არაინტენციური სახით მათი გამოყენება ჩვენს კვლევაში არ ფიქსირდება, სავარაუდოდ, მათი სტრუქტურის სირთულიდან გამომდინარე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ თავში განხილული ერთეულების პრაგმატიკული ფუნქცია სხვადასხვა ჟანრში, მათი სახალისო, იუმორისტული, აბსურდული, დამაბნეველი ან სხვა სახის ეფექტის შექმნაა.

1.4. სიტყვათა თამაში გრაფოლოგიურ – გრაფიკულ – ტექსტობრივი თვალსაზრისით

შემდეგ ქვეთავში განვიხილავთ, სიტყვათა თამაშის სახეობებს გრაფოლოგიურ-გრაფიკულ-ტექსტობრივი თვალსაზრისით. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ანაგრამული პოეზია, აკროსტიქი, გრაფიკული პოეზია და პალინდრომული პოეზია.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

ანაგრამული პოეზია

ანაგრამული პოეზია ეს არის პოეზიის სახე, სადაც თითოეული ხაზი ან სტროფი ყოველი მეორე ხაზის ან სტროფის ანაგრამაა ლექსში. გასათვალისწინებელია ის, რომ თითოეულ ხაზში მოცემული ასოების რაოდენობა ზოგჯერ შეიძლება დაემთხვეს სხვა ხაზებში მოცემულ ასოთა რაოდენობას, ზოგჯერ კი არა. მაგალითისთვის განვიხილოთ შელ სილვერსტეინის ლექსი:

The Little Boy and The Old Man

Said the little boy, “Sometimes I drop my spoon”.

Said the old man, “I do that too”.

The little boy whispered, “I wet my pants”.

“I do that too”, laughed the little old man.

Said the little boy, “ I often cry”.

The old man nodded, “so do I”.

“But worst of all”, said the boy, “it seems

Grown – ups don't pay attention to me”.

And he felt the warmth of a wrinkled old hand.

“I know what you mean,” said the little old man.

ლექსის ანაგრამული ვარიანტია.

The Tot and The Elder

(Olin Foblioso & Billy Foblioso)

The tiny tot went: “When I eat I mess up”.

The elder replied: “O, that makes two of us”,

“ I soil myself “, went the tot with shame

And the elder added: “O, I do the same”.

On the tot told him: “I sob a lot”

“O, not only you” answered gramps to the tot.

“And what's totally bad”, the tiny tot told,

“ I think mom and dad don't love me at all”.

While grandpa simply, pitifully smiled,

Then said : “O, I understand, my child.”

ძირითადი აზრი ლექსის ანაგრამულ და ორიგინალ ვარიანტს შორის შენარჩუნებულია. ორივე შემთხვევაში აღწერილია დიალოგი პატარა ბიჭსა და

მოხუცს შორის. ისინი ერთმანეთს უყვებიან, თუ როგორ ისვრებიან ჭამის დროს, როგორ ტირიან და სხვ. თუ რამდენი საერთო „სადარდებელი“ აქვთ.

ლექსის ანაგრამული ვარიანტი უდაოდ შედევრია, რადგან ავტორი ორიგინალი ვარიანტის სრულიად ადეკვატურ ვერსიას გვთავაზობს. მკითხველისათვის კი ეს მცდელობა გამოწვევა და სიამოვნებაა მისი შინაარსის, აგებულებისა და ფორმის გამო.

ანაგრამული პოეზიის ფუნქციაა სახალისო ეფექტის შექმნა, მისი უცნაური და საინტერესოა აგებულების თვალსაზრისით, რაც უდაოდ შემქმნელის დიდ ოსტატურ ნიჭსა და შემოქმედებითობაზე მიუთითებს. ანაგრამული პოეზიის მაგალითები, ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში, ქართულ ენაზე, სამწუხაროდ, არ ფიქსირდება.

გრაფიკული პოეზია

გრაფიკული პოეზია წარმოიშვა პოსტსიმბოლისტური კრიზისის პერიოდში. იგი გამოხატავდა ხელოვნების ახალი რეალობის შესაძლებლობებს, რაც თავის მხრივ, ძალიან საინტერესო მცდელობაა ულტრათავისუფალი ლექსის შექმნისა.

გრაფიკული პოეზიის მოკრძალებული ექსპერიმენტული ნიმუშები ქართული ლიტერატურის რეალობაშიც გვაქვს, თუმცა მის შესახებ ძალიან ცოტამ თუ იცის.

თუ მწერლები ნებისმიერ სიტყვათშეხამებასა და სპონტანურობას ანიჭებდნენ ძირითად მნიშვნელობას, გრაფიკოსებმა უარყვეს ტექსტის როგორც ასეთის დანიშნულება და ძალდატანება მთლიანად ფორმისეულ კონცეფციაზე გადავიდა, თუმცა ფორმა ტექსტის გარეშე შეუძლებელია. ამით პოეზია იქცა დასავლური არტის მთავარ კომპონენტად და შეიძინა დეკორატიული ფუნქცია. ამ დროს პოეტი ახალ გამომხატველობით საშუალებებს ეძებს და სურს, გაარკვიოს სადამდე ვრცელდება პოეტური მეტყველების შესაძლებლობანი და თავისი სათქმელის გადმოსაცემად, პროზაულ ყოფით ელემენტებთან ერთად, გრაფიკულ ხერხსაც მიმართავს. ასეთი სახის პოეზია განსაკუთრებით დამახასიათებელია ვახტანგ ჯავახიძის შემოქმედებისათვის.

განვიხილოთ რამდენიმე მათგანი ვახტანგ ჯავახიძის შემოქმედებიდან:

ციდან მსუქანი წვეთები ცვივა,

ჩაურაზავი ჭრიალებს კარი,

ზევიდან ქვევით ჩ

ა

მ

ო

რ

ბ

ი

ს

წ

ჭ

ც

ძ

ა

მარცხნიდან მარჯვნივ უბერავს ქარი.

ლექსის გრაფიკული ფორმა და მისი შინაარსი ერთმანეთს შეესაბამება.
ლექსის ფორმა ისეა მოცემული, თითქოს წვიმის წვეთები ჩამოდიოდეს ციდან.

შესაბამისობაშია შემდეგი ლექსის შინაარსი და გრაფიკული ფორმაც. ლექსში ნახსენებია კიბის საფეხურები. ამიტომ, გრაფიკოსმა პოეტმა ლექსის სტრიქონებს კიბის საფეხურების ფორმა მისცა.

ამ

სტრი –

ქონებზე –

როგორც კიბის

სა-ფეხ-ურ-ებ-ზე-

ისე ჩამორბის ახლა

შენი თვალი კეთილი,

ფრთხილად! აქ მერვე

სა –ფეხ –ურ –ი ჩ ა ტ ე ხ ი ლ ი ა !

გ ა დ მ ო ა ბ ი ჯ ე ! ნ უ გ ე შ ი ნ ი ა !

ძირს გელოდები, ვით ამ ლექსის ბოლო წერტილი.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოცემულ ლექსებში, მათი გრაფიკა და შინაარსი აბსოლუტურ შესაბამისობაშია ერთმანეთთან.

რადგან ლექსის გრაფიკული გამოსახულება მის შინაარსს შეესაბამება, შესაძლოა, ასეთი სახის პოეზია მივიჩნიოთ გარკვეული სახეობის ვიზუალურ სიტყვათა თამაშად.

ანალოგიური პრინციპითაა აგებული გრაფიკული ლექსები ინგლისურ ენაზეც. ლექსის ვიზუალური მხარე და შინაარსი ურთიერთშესაბამისია. მაგ:

Tornado spins round and
round. Powerful and scary
if they touch the ground.

Dark skies in the
afternoon make

me want to

hide in my

room. Covers

over my head

as I hide

in fear

and

dread.

by Kristina

ლექსი დაწერილია ტორნადოზე. მისი გრაფიკული სახე ძლიერი, ბობოქარი ქარის ქროლვასა და ტრიალს ჰგავს. გრაფიკული პოეზია სწორედ ამ კუთხითაა საინტერესო, რომ გრაფიკა გამოხატავს შინაარსს და ლექსის წაუკითხავადაც კი შესაძლოა მისი ძირითადი იდეის მიხვედრა.

a
sp
arkle
way up
high one
to make all
your wishes upon
high in the nighttime sky blinking like a broken
traffic light shining above us like a canopy
with holes punched in it growing bright
each night we look up at them
in amazement they hold our
hopes and dreams their twinkles
twinkle assures us that very
thing will be alright
st ar

ლექსის გრაფიკული ფორმიდან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია, თუ რის შესახებ იქნება დაწერილი წინამდებარე ლექსი.

ამგვარად, წინამდებარე ლექსებში, შინაარსსა და გრაფიკას შორის კავშირი ნათელია. ასეთი სახის პოეზია განსაკუთრებული აქტუალობით ხასიათდება სწავლების დროსაც. იგი, ერთ-ერთი საინტერესო მეთოდთაგანია, სტუდენტების ინტერესის გასაღვიძებლად. ვიზუალური მხარე ადვილად მათ ცნობისმოყვარეობასა და წარმოსახვის უნარს. ნაწარმოების წაკითხვამდე ჩნდება კითხვები, შეესაბამება თუ არა გრაფიკა შინაარსს, მხოლოდ გრაფიკული გამოსახულებიდან რამდენად შესაძლებელია შინაარსის სწორად აღქმა და სხვ.

რაც შეეხება გრაფიკული პოეზიის ინტენციურობა-არაინტენციურობის თვალსაზრისით განხილვას, იგი ყოველთვის ინტენციურია მისი სტრუქტურისა და აგებულების გამო. ცხადია, ავტორი განზრახ უკავშირებს ლექსის ფორმასა და შინაარსს ერთმანეთს.

რასაკვირველია, შესაძლოა ნებისმიერ ლექსს, სიტყვების სათანადო განლაგებით მივცეთ რაიმე გამოსახულების ფორმა, მაგრამ გრაფიკული პოეზიის მთელი ხიბლი და მნიშვნელოვნება, მის გრაფიკასა და ლექსის შინაარსს შორის შესაბამისობაშია.

(გრაფიკული პოეზიის სხვა ნიმუშები იხ. დანართი).

აკროსტიქი

აკროსტიქი (კიდურწერილობა) ლექსი, რომლის სტრიქონთა დასაწყისი ასოები შეადგენს რაიმე სიტყვას ან ფრაზას, ზოგჯერ ტექსტსაც. ლექსის ეს სახეობა ბერძნული ენიდან გაჩნდა და პოპულარული იყო ქართველ ჰიმნოგრაფთაშორის (იოანე ზოსიმე, მიქელ მოდრეკილი, იოანე პეტრიწი და

სხვ.). მათ ლექსებში აკროსტიქად გამოყენებულია საკუთრივ ლექსის ავტორის ან საგალობლის შემკვეთის სახელი, საგალობლის ხასიათი და სახელწოდება.

აკროსტიქული ლექსი XVII-XVIII საუკუნეთა პოეზიაში საკმაოდ პოპულარული იყო. ამგვარ ლექსებს ქმნიდნენ არჩილ მეფე, ვახტანგ მეექვსე, დავით გურამიშვილი და სხვ.

აკროსტიქი შეიძლება იყოს ვერტიკალური, ჰორიზონტალური და სხვა სახითა და ფორმით მოცემული. ასევე შესაძლებელია ნაწარმოებში, თითოეული სტრიქონის საწყისი და ბოლო ასო, ვერტიკალურად ქმნიდეს აკროსტიქს, როგორც ლექსის დასაწყისში, ისე შუაში ან ბოლოში.

კვლევამ გვაჩვენა, რომ არსებობს აკროსტიქის სხვადასხვა სახეობა. მისი ფორმისა და აგებულებიდან გამომდინარე, ჩვენს საკვლევ მასალაზე დაყრდნობით, ჩამოვაყალიბეთ აკროსტიქის შემდეგი კლასიფიკაცია და მისი ფორმიდან გამომდინარე, შემოვიტანეთ ჩვენეული ტერმინებიც: **ვერტიკალური, შუამდებარე, ორმაგი, მარცვლოვანი, ჰორიზონტალური აკროსტიქი.**

განვიხილოთ ე. წ. ვერტიკალური აკროსტიქები. ასეთ შემთხვევებში, აკროსტიქული სიტყვა უნდა იქმნებოდეს ვერტიკალურად. ეს შეიძლება იყოს ყველა სტრიქონის საწყისი ასო, სტრიქონების საწყისი და ბოლო ასოები და/ან ნაწარმოების სტრიქონებს შორის, სიტყვებში საჭირო ასოების გამოყენებით მიღებული ვერტიკალური აკროსტიქი. არის შემთხვევებიც, როდესაც აკროსტიქი იქმნება არა მხოლოდ ასოების, არამედ მარცვლების საშუალებითაც ვერტიკალურად.

აკროსტიქის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ალან პოს ლექსი, რომელშიც სიტყვათა თამაში ვერტიკალური სახითაა მოცემული.

ლექსის ყველა სტრიქონის თავიდაური ასოების გამოყენებით, ვერტიკალურად მიიღება აკროსტიქული სიტყვა – **ELIZABETH.**

Elizabeth it is in vain you say
 "Love not" — thou sayest it in so sweet a way:
 In vain those words from thee or L.E.L.
 Zantippe's talents had enforced so well:
 Ah! if that language from thy heart arise,
 Breath it less gently forth — and veil thine eyes.
 Endymion, recollect, when Luna tried
 To cure his love — was cured of all beside —
 His follie — pride — and passion — for he died.

სწორია შემთხვევები, როდესაც აკროსტიქის პრინციპს იყენებენ ამა თუ იმ ენის ანბანზე. აგებულების თვალსაზრისით, ლექსის ასეთი სახეობა იქმნება შემდეგ ძირითად ტიპებში.

- ლექსის პირველი სტროფის ოთხივე სტრიქონი იწყება ა ასოთი, მეორე სტროფის ბ ასოთი და ასე ბოლომდე;
- ლექსის პირველ სტროფში ყოველი სიტყვა იწყება ა ასოთი, მეორეში ბ ასოთი და ასე შემდეგ.
- ლექსის პირველი სტრიქონის ყოველი სიტყვა იწყება ა ასოთი, მეორე სტრიქონისა — ბ ასოთი, მესამისა გ ასოთი და ასე ბოლომდე და სხვ. დამოკიდებულია შემქნელის ფანტაზიაზე.

მაგალითად, აკროსტიქის ნიმუში ქართული ენის ანბანის მაგალითზე.

ქართული ანბანი

„ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხედ არს“
იოანე ზოსიმე

ა რსებასა,

ბ უნებით

ბ ან უყოფედსა

სამებასა,

ღ აუსაბამოსა,

ე რთსა ღმერთსა

კ ადიდებდეთ!

ზ ეციოთ გარდამოსუდსა,

თ ანა არსსა

მამისასა,

ი ესოს,

კ აცთმოყვარესა,

ღ მობიერსა,

მ თნყადესა,

ნ უგეშინისმცემედსა,

ო სანა!

პ ირვედ

ქ აძთასა

წ ომედი იყავ,

ს იტყვაო,

ტ არიგო,

უ უადლო

ქ რისტე,

ღ მერთო

ყ ოვედთაო,

შ ეტე იწყადენ

ჩ ვენ

ც ოღვიდნი.

ძ ეო

წ მიდაო,

ჭ ეშმარიტო.

ხ ორციტა

ჯ ვარცხედო,

კ ადედუია!

27/06/2011

შემდეგ მაგალითში, ვერტიკალური აკროსტიქი აგებულია, სიტყვებში მოცემული აკროსტიქის შესაქმნელად საჭირო ასოს გამოყენებით. ამ

შემთხვევაში, აკროსტიქი იქმნება არა ნაწარმოების თავში ან ბოლოში, არამედ შუაში. ასეთი სახის აკროსტიქს შეიძლება ვუწოდოთ *შუამდებარე აკროსტიქი*.

HAPPY VALENTINE'S DAY!

HEAR, O HEAVENS,
AND GIVE EAR, O EARTH;
FOR THE LORD HAS SPOKEN:
"CHILDREN HAVE I REARED AND BROUGHT UP,
BUT THEY HAVE REBELLED AGAINST ME.
THE OX KNOWS ITS OWNER,
AND THE DONKEY ITS MASTER'S CRIB,
BUT ISRAEL DOES NOT KNOW,
MY PEOPLE DO NOT UNDERSTAND."

—ISAIAH 1:2-3 ESV

...WHAT, WE'RE ONLY ALLOWED TO DO THIS WITH JOHN 3:16?

მომდევნო მაგალითი ისეთი პრინციპითაა აგებული, რომ აკროსტიქული სიტყვა იქმნება ნაწარმოების თავშიც და ბოლოშიც ანუ, როგორც თავკიდური, ისე ბოლოკიდური ასოების გამოყენებით. ასეთი სახის აკროსტიქს, ვუწოდებთ *ორმაგ აკროსტიქს*. ასეთ შემთხვევაში, ლექსის ყველა სტრიქონის თავკიდური და ბოლოკიდური ასოები ქმნიან აზრობრივ სიტყვას ვერტიკალურად, როგორც ლექსის დასაწყისში, ისე ბოლოში.

Change can be a challenge or cause regret
However well prepared we are
Outward circumstances, it can be
Realignment we struggle with. Sudden
Emotional upheaval discomfort
Our core values and sometimes life itself
Gets painfully ruptured by the hitherto
Rather insubstantial problems. Over
And above the uncertainties I am
Playing along with an old agenda
Hoisted upon me by events, and in
Is time now to delve deeper because
Need to understand cause in order to
Grasp improvement, planned so I can move on

T
R
A
N
S
F
O
R
M
A
T
I
O
N

მაგალითი წარმოადგენს წელიწადის თვეებზე აგებულ აკროსტიქს. საწყისი სიტყვები, ყველა სტრიქონზე, წარმოადგენს თვეების სახელწოდებათა დასაწყისს. აკროსტიქი შექმნილია, არა სიტყვების საწყისი ასოებით, არამედ სიტყვების საწყისი მარცვლებით. სწორედ ამიტომ, მისი ასეთი ფორმის გამო, ამ სახის აკროსტიქს ვუწოდებთ *მარცვლოვანი აკროსტიქი*.

JANet was quite ill one day.
FEBrile trouble came her way.
MARtyr-like, she lay in bed;
APRoned nurses softly sped.

MAYbe, said the leech judicial
JUNket would be beneficial.
JULeps, too, though freely tried,
AUGured ill, for Janet died.
SEPulchre was sadly made.
OCTaves pealed and prayers were said.
NOVices with ma'y a tear
DECorated Janet's bier.

შემდეგ მაგალითებში, მოცემულია ჰორიზონტალური აკროსტიქის შემთხვევები.

Always **B**e **C**ool. **D**on't have **E**go with **F**riends n
 Family. **G**ive up **H**urting **I**ndividuals. **J**ust **K**ee
Loving **M**ankind. **N**ever **O**mit **P**rayers. **Q**uietly
Remember God. **S**peak **T**ruth. **U**se **V**alid **W**ords.
Xpress **Y**our **Z**eal.

Father **A**nd **M**other **I**Love **Y**ou

ასე რომ, აკროსტიქი როგორც სიტყვათა თამაშის სახეობა ძალიან
 საინტერესოა მისი სტრუქტურიდან გამომდინარე, ხოლო რაც შეეხება მის
 შექმნასა და გამოყენებას, ყოველთვის ინტენციურია, რადგან იქმნება წინასწარი
 განზრახვის საფუძველზე და მის შედეგად.

გრაფიკული სახით მოცემული ტექსტობრივი პალინდრომების მაგალითები, რომლებსაც „მაგიურ კვადრატებსაც“ უწოდებენ

ეს პატარა პალინდრომები, ანტიკური ლექსის სახეობაა, რომელსაც მეორენაირად **მაგიურ კვადრატსაც** უწოდებენ. რომელი კუთხიდანაც არ უნდა დავიწყოთ ამ ტექსტის კითხვა, გინდა წაღმა, გინდა უკუღმა, მუდამ იგივე გამოვა. ანალოგიურია ყოველი ვერტიკალი და ჰორიზონტალი, მარჯვნიდან წაიკითხავთ თუ მარცხნიდან. (ცხადია, სარკის პრინციპით).

N	E	T	W	E	D	G	E	L
E	W	E	E	K	E	E	Y	E
T	E	N	D	E	W	L	E	G

T	R	A	P
R	A	J	A
A	J	A	R
P	A	R	T

S	T	E	P
T	I	M	E
E	M	I	T
P	E	T	S

R	A	T	S
A	B	U	T
T	U	B	A
S	T	A	R

C	A	R	E	S
A	N	E	L	E
R	E	F	E	R
E	L	E	N	A
S	E	R	A	C

F	A	R	A	D
A	L	E	D	A
R	E	B	E	R
A	D	E	L	A
D	A	R	A	F

E	S	S	S	S	E
S	L	E	E	T	S
S	E	R	V	E	S
S	E	V	R	E	S
S	T	E	E	L	S
E	S	S	S	S	E

მსგავსი სახით, ქართულ ენაშიც მოგვეპოვება მაგალითები, თუმცა ქართულ ენაზე მოცემულ შემდეგ მაგალითებში, ჩვენი აზრით, მეტი სისხარტე, ხალისი და აზრიანობა შეინიშნება.

სხვა შემთხვევაში, ასეთი პრინციპით შექმნილი მაგიური კვადრატები შეიძლება გამოვიყენოთ სწავლების პროცესში, მეტი ეფექტურობისა და სტუდენტთა გამოწვევის შექმნის თვალსაზრისით.

მოვიყვანოთ შინაარსობრივი „მაგიური კვადრატების“ მაგალითები. საგულისხმოა, რომ მაგიური კვადრატების სათაურები არ არის პალინდრომის პრინციპით აგებული. თუმცა, სათაურები მიგვანიშნებენ მაგიურ კვადრატში გადმოცემულ შინაარსზე.

(ა) განქორწინება მორწმუნესთან

დ ა, რ ა დ

ა ც ო ლ ა ?

რ ო გ ო რ

ა ლ ო ც ა

დ ა რ ა დ!

(ბ) ბაზარში: სამად მომეცი ეგ ატამი, შეილო, მეტი არა ღირსო

-ს ა მ ა დ

ა რ ა, დ ა!

მ ა მ ა მ

ა დ ა რ ა

დ ა მ ა ს.

მიამიტი მოახლის პასუხი შენიშვნაზე, რომ მისი შესადარ-შესაფერი არ იყო მამის ხნის კაცი.

-მ ა მ ა დ ?!

ა რ ა დ ა,

მ ა დ ა მ,

ა დ ა რ ა

დ ა მ ა მ.

წინამდებარე მაგალითი თითქოს დიალოგის ხასიათისაა, რადგან პირველ პალინდრომულ კვადრატს პასუხობს მეორე კვადრატი, იუმორისტულად და სხარტულად.

(გ) ხევსურული სატრფიალო

დ ა ვ ა ლ

ა რ ა ღ ა ,

ვ ა ჟ ა ვ,

ა ღ ა რ ა

ლ ა ვ ა ღ.

(დ) იმერული ჭორაობა აზიელ ცისფერთა ტრფობაზე

-ა ღ ი ღ ა

ღ ა მ ა ღ...

-ი მ ა მ ი

ღ ა მ ა ღ ?!

-ა , ღ ი ღ ა!

ასეთი ფორმით მოცემული პალინდრომი იქმნება როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ დონეზე. ძირითადად, ამ სახის პალინდრომებს იყენებენ მეთოდოლოგიაში, სწავლების პროცესის სახალისოდ წარმართვის მიზნით. თუმცა, ამავე დროს იუმორისტულია ქართული მაგიური კვადრატების შინაარსი.

პალინდრომული პოეზია ეფუძნება ინტენციურობის კრიტერიუმს, მისი ფორმიდან და აგებულებიდან გამომდინარე.

ქვეთავში 14. სიტყვათა თამაში გრაფოლოგიურ - გრაფიკულ - ტექსტობრივი თვალსაზრისით, განვიხილეთ შემდეგი ლინგვისტური ერთეულები: ანაგრამული პოეზია, აკროსტიქი, გრაფიკული პოეზია, პალინდრომული პოეზია და მაგიური კვადრატები.

კვლევის მასალაზე დაყრდნობით, გამოიყო აკროსტიქის სხვადასხვა სახეობა, მათი აგებულებისა და ფორმის გათვალისწინებით. კერძოდ, ვერტიკალური, ჰორიზონტალური, ე. წ. *შუამდებარე, ორმაგი* და *მარცვლოვანი* აკროსტიქი. (ხვენს მიერ შემოღებული ტერმინები)

განვმარტეთ თითოეული ტერმინი ცალ-ცალკე. მაგალითების განხილვის საფუძველზე ნათელია, რომ აღნიშნულ ქვეთავში განხილულ სიტყვათა თამაშის სახეების არცერთი ლინგვისტური ერთეული არ გამოიყენება წინასწარი განზრახვის გარეშე. ყველა მათგანი რაიმე მიზეზიდან გამომდინარე იქმნება, რადგან მათი აგება დაკავშირებულია გრაფიკასთან ან ასოების განზრახ გადასმასთან შესაბამისი წყობით.

აღნიშნული ტერმინების (გრაფიკული პოეზია, აკროსტიქი და მისი სახეობები, პალინდრომული პოეზია და მაგიური კვადრატები) პრაგმატიკული ფუნქცია სახალისო, იუმორისტული, აბსურდული, დამაბნეველი ან სხვა ეფექტის შექმნაა. ეფექტურია მათი გამოყენება მეთოდოლოგიაშიც, რადგან მსგავსი ლინგვისტური ერთეულების გამოყენება სწავლებისა და სწავლის პროცესში, უდაოდ სახალისოა.

პირველი თავის დასკვნა

პირველი თავის განხილვისას გამოიკვეთა, რომ, ზოგადად, არ არსებობს სიტყვათა თამაშის საყოველთაოდ მიღებული მიდგომა და განმარტება, რომ სიტყვათა თამაშის შესახებ სხვადასხვა მკვლევრის მიერ წარმოდგენილი განმარტებისა და მათი კლასიფიკაციის განსხვავებულობა და გარკვეულწილი აღრევა განპიროვნებულია თავად სიტყვათა თამაშის კატეგორიებისა და ქვეკატეგორიების სირთულით. სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვაგვარად განმარტავს სიტყვათა თამაშს, ზოგი კი მას (სიტყვათა თამაშს) კალამბურთანაც აიგივებს (დელაბასტიტა, გოტლიბი). ჩვენ არ ვემხრობით მათ მოსაზრებას და კალამბურს განვიხილავთ, როგორც სიტყვათა თამაშის ცალკეულ ქვეკატეგორიას. კვლევამ გვაჩვენა, რომ სიტყვათა თამაში შეიძლება შეეხოს მხატვრულ შედარებას, მეტაფორას, კალამბურს, სპუნერიზმს, მალაპროპიზმს, ველერიზმსა და სხვა ლინგვისტურ ერთეულებს. კალამბური კი არის სიტყვათა თამაშის სახეობა, რომელიც იქმნება ომონიმითა და სიტყვის პოლისემიით გამოწვეული ორაზროვნების საფუძველზე. შესაბამისად, კალამბურს განვიხილავთ სიტყვათა თამაშის ქვეკატეგორიაში.

კვლევის საფუძველზე ასევე გამოიკვეთა, რომ განსხვავებულია სხვადასხვა მკვლევრის მიერ ჩამოყალიბებული კალამბურის კლასიფიკაციაც. კერძოდ: დელაბასტიტა (ომონიმები, ომოფონები, ომოგრაფები, პარონიმები); გოტლიბი (ლექსიკური ომონიმები, კოლოკიური და ფრაზული ომონიმები); იუან ჩუანდაო (ომონიმური, ლექსიკური მნიშვნელობის, მისახვედრი/ადვილად გასააზიფრი კალამბური, გადატანითი მნიშვნელობის/ქარაგმული და ლოგიკური კალამბური);

გამოიკვეთა, რომ სიტყვათა თამაშის **ვიწრო** და **ფართო** თვალსაზრისით განხილვისას, **ვიწრო** თვალსაზრისით, სიტყვათა თამაში უიგივდება **კალამბურს**, **პანს**. ხოლო ამ ფენომენის ფართო თვალსაზრისით განხილვა გულისხმობს მის ფარგლებში მრავალი ქვესახეობის გამოყოფას. კერძოდ, სიტყვათა თამაში მოიცავს **კალამბურს**, **ველერიზმს** (ტომ სვიფტი), **სპუნერიზმს**, **ანაგრამას**, **პალინდრომს**, **ონომატოპეას**, **მონდეგრინს**, **მალაპროპიზმს**, **ოქსიმორონს** და **სხვ.**

კვლევის შედეგად გამოვლინდა რომ, ენობრივი ერთეულების ფორმირება შეიძლება ხდებოდეს ენის ნებისმიერ დონეზე:

1. ფონეტიკურ, გრაფოლოგიურ – მორფოლოგიურ დონეზე.
2. ლექსიკურ – სინტაქსურ – სემანტიკურ დონეზე.
3. გრაფოლოგიურ – გრაფიკულ - ტექსტობრივ დონეზე.

შესაბამისად, გამოიკვეთა შემდეგი სახის ერთეულები:

სიტყვათა თამაში ფონეტიკური, გრაფოლოგიური და მორფოლოგიური თვალსაზრისით: მონდგერინი, ონომატოპეა, სპუნერიზმი, ანაგრამა, მალაპროპიზმი, პალინდრომი.

2. აკაკი წერეთელმა ერთ ახალგაზრდას უთხრა: „**ისწავლე, მამაშენივით ვირი არ გამოხვიდე!**“ და შემდეგ, როცა მამამ პასუხი მოსთხოვა აკაკის, მან თავი

გაიმართლა. შენს შვილს ასე ვუთხარიო: „**ისწავლე შეილო მამამაშენივით, ვირი არ გამოხვიდე!**“

როგორც განხილული მაგალითიდან ჩანს, მნიშვნელოვანია სასვენი ნიშნების კორექტულად გამოყენება აზრის სწორად გადმოსაცემად. მეტყველებაში კი, ამას ინტონაცია და ტონალობა განსაზღვრავს.

3. სტრუქტურულ – სემანტიკური ორაზროვნების ფონზე შექმნილი კალამბურული სიტყვათა თამაშის კატეგორიაში განიხილება შემდეგი მაგალითიც.

ერთმა ფსიქოლოგმა დაფაზე დაწერა შემდეგი წინადადება და სტუდენტებს მისი ახსნა სთხოვა.

" A woman without her man is a savage."

აღსანიშნავია, რომ წინადადებაში სასვენი ნიშნების არ ქონა, ორაზროვნებას იწვევს და მისი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას გვაძლევს. ამავე დროს ჩართულია ფსიქოლოგიური მომენტი, რადგან მამრობითი სქესის სტუდენტებმა დაწერეს:

"Woman, without her man, is a savage."

ხოლო მდედრობით სქესის სტუდენტებმა:

"Woman: without her, man is a savage."

ასე რომ, წინამდებარე მაგალითი წარმოადგენს სტრუქტურულ – სემანტიკურ სიტყვათა თამაშს. საგულისხმოა, რომ სასვენი ნიშნების სხვადასხვაგვარად გამოყენება ან მათი საერთოდ არ არსებობა წინადადების შინაარსს სრულიად ცვლის.

3. სტრუქტურულ - სემანტიკური კალამბური

შემდეგ ქვეთავში განვიხილავთ სტრუქტურულ - სემანტიკური ორაზროვნების ფონზე შექმნილ მაგალითებს ლიტერატურული ნაწარმოებებიდან.

1. ჯონ სტეინბეკის ნაწარმოების სათაურში „**მრისხანების მტევნები**“ (**The Grapes of Wrath**) ტრანსპოზიცია ქმნის კალამბურს. ტრანსპოზიციური კალამბური არის რთული კალამბურული ფორმა ორი ასპექტით. იგი გულისხმობს სიტყვათა გარდაქმნას, გადაქცევას კარგად ცნობილ ფრაზად ან გამონათქვამად ან პირიქით, რასაც თან სდევს კომიკური ეფექტი.

ამ სათაურში ჩადებული მესიჯის რეცეფცია მთლიანად დამოკიდებულია მკითხველის კულტურულ, ფონურ ცოდნაზე. კალამბურის ეფექტი იქმნება მხოლოდ მაშინ, თუ მკითხველი იცნობს ჯონ სტეინბეკის ცნობილ რომანს „მრისხანების მტევნები“ ან მის ეკრანიზებულ ვერსიას და სიმღერას "Battle Hymn of the Republic", რომელიც აბოლიციონისტმა ქულია უორდ ჰოუმ (Julia Ward Howe) დაწერა 1861 წელს, სამოქალაქო ომის დროს. სათაური "**The Grapes of Wrath**" სწორედ ამ სიმღერიდანაა აღებული.

სახელადი ფრაზა **The Grapes of Wrath** თანამედროვე ინგლისურში ორი მნიშვნელობით გვხვდება: ყოველდღიურ მეტყველებაში იგი ღვინის აღსანიშნავად გამოიყენება. მაგ: გამონათქვამი She has taken a little too much of the grapes of wrath. ნიშნავს „მან ზომაზე მეტი ღვინო დალია“, მაშინ როდესაც სტეინბეკი ამ ფრაზას მეტაფორული მნიშვნელობით იყენებს დიდი მრისხანების აღსანიშნავად. (გაუთავებელი დეპრესია, მუშათა კლასის დამამცირებელი ცხოვრება. რაც უფრო დიდხანს გრძელდება რთული პერიოდი, მით უფრო ძლიერდება უარყოფითი ემოცია ხალხში). ეს ყველაფერი ღვინის ფერმენტაციის პროცესს ჰგავს. ღვინო დუღილისა და დროის გასვლის შემდეგ უფრო და უფრო ძლიერდება, რაც იმას ნიშნავს რომ იძენს დამატრობელ ეფექტს. შესაბამისად მუშათა კლასის დამამცირებელ-დეპრესიული ცხოვრებაც, რაც უფრო ხანგრძლივია, მით მეტად აძლიერებს მათი მრისხანებისა და პროტესტის შეგრძნებას.

ნაწარმოების მეოთხე თავში ჯიმ ქეისის (Jim Casy) მიერ ნათქვამი ფრაზაც შეიძლება ჩავთვალოთ სათაურის ინტერპრეტაციად – "all men got one big soul ever'body's a part of." ამ შემთხვევაში, მტევნის როლს ასრულებს მრისხანება, რომელზედაც მიბმულია მარცვლები ანუ ერთი სულისკვეთებით, მრისხანებით განმსჭვალული ადამიანები, ისევე, როგორც ერთ ყურძნის მტევანს მრავალი მარცვალი აქვს და ყველა ერთი მტევნის შემადგენელი ნაწილია. ასევე ყველა ადამიანი, ერთი დიდი სულის, ღმერთის შვილები ვართ (შედარებულია ყურძნის მტევანთან).

ავტორის მეტაფორული სათაური, ერთი მხრივ სარკასტულია და ამხელს ყოველგვარ ბოროტებას, გულქვაობას, სიმახინჯეს და სხვ. ხოლო მეორე მხრივ, როგორც ტრანსპოზიციური კალამბური იწვევს კომიკურ ეფექტს. (ამ შემთხვევაში კალამბურული სიტყვათა თამაში წინადადებაში, ხორციელდება სიტყვათა გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებისა და ომონიმის საფუძველზე).

2. განვიხილოთ მაგალითი გამოჩენილი მოდერნისტი მწერლის, კეტრინ მენსფილდის ნაწარმოებიდან – Cup of Tea (1922) „ფინჯანი ჩაი“.

ნაწარმოების დასაწყისში, ავტორი იყენებს სიტყვათა თამაშს.

Rosemary Fell was not exactly beautiful. No, you couldn't have called her beautiful. Pretty? Well, if you took her to pieces... But why be so cruel as **to take anyone to pieces?**

ნაწყვეტი შეიძლება ასე ითარგმნოს.

*ვერ ვიტყვით, რომ როზმერი ფელი ლამაზი იყო. ვერ ვუწოდებდით მას მშვენიერს. თუ მას დეტალურად დავახასიათებდით... მაგრამ, რატომ უნდა ვიყოთ ისეთი სასტიკები, რომ ადამიანი დავანაწევროთ?

ნაწარმოები იწყება, მთავარი პერსონაჟის, როზმერი ფელის გარეგნობის აღწერით. თუმცა, როზმერი დიდი სილამაზით არ გამოირჩევა, ცდილობს არისტოკრატიული იმიჯი შეიქმნას. ის საკმაოდ მდიდარია, რაც სურვილების ახდენის საშუალებას აძლევს.

ვერბალური თამაში იქმნება ფრაზის **took her to pieces** საშუალებით. ფრაზაში თანადროულად გვაქვს ორმაგი ორაზროვნება, სტრუქტურული და სემანტიკური. ერთი მხრივ, ფრაზა **took her two pieces** შეიძლება ომოფონურად ასე გავიგოთ – **to take to pieces**, რომელიც ნიშნავს, არა მარტო ნაწილებად დაშლას, დარღვევას, არამედ გადატანითი მნიშვნელობით, ასევე ნიშნავს გაკრიტიკებას, დეტალურად განხილვას.

ეს ერთი შეხედვით მარტივი სიუჟეტის მქონე მოთხრობა მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ მომენტებზეა აგებული. ნაწარმოებში ჩანს ფემინიზმის თემა, ზღვარი მდიდრებსა და ღარიბებს შორის. ავტორი ცნობიერების ნაკადის საშუალებით ცინიკურად ახასიათებს როზმერის. მისი „ორსახიანობა“ ერთი შეხედვით სიკეთისა და ალტრუიზმით შეპყრობილს განასახიერებს, ხოლო მეორე მხრივ ეგოიზმს, სიძუნწესა და ეჭვიანობას ასახავს. სწორედ ამ ლექსიკურ – ფონოლოგიური და სტრუქტურულ – სემანტიკური ორაზროვნებით ახასიათებს ავტორი როზმერის პერსონაჟს. **took her two pieces** - მისი ორი კუთხით დახასიათება (გარეგნული მხარე, ფიზიკურობა და შინაგანი სამყარო/ბუნება).

მეორე მხრივ, კი ფრაზა **to take to pieces** გაკრიტიკებას ნიშნავს. ამგვარად, ამ მშვენიერი კალამბურული სიტყვათა თამაშის საფუძველზე, ავტორი ნაწარმოების პირველივე აბზაცში, მთლიანად ახასიათებს როზმერის. როგორც მის გარეგნობას, ასევე მის ხასიათსა და შინაგან ბუნებას.

მესამე თავის დასკვნა

როგორც წინამდებარე თავებში გამოიკვეთა, კალამბური არის სიტყვათა თამაშის ერთ-ერთი სახეობა. არსებობს კალამბურის ქვეკატეგორიები და შესაბამისად განსხვავებულია სხვადასხვა მკვლევართა კლასიფიკაციაც, კალამბურის ტიპოლოგიებისა და სახეობების მიხედვით.

მესამე თავში განვიხილეთ მაგალითები სხვადასხვა ლიტერატურული ნაწარმოებებიდან, ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული კლასიფიკაციის მიხედვით, რომელიც ასე გამოიყურება:

1. ლექსიკურ – სემანტიკური კალამბური
2. სტრუქტურულ – სინტაქსური კალამბური
3. სტრუქტურულ - სემანტიკური კალამბური

კვლევამ გვიჩვენა, რომ განხილულ მაგალითებში გამოყენებული კალამბურები, იქმნება, როგორც ლექსიკურ - სემანტიკური, ისე სტრუქტურულ – სინტაქსური ორაზროვნების საფუძველზე.

კალამბურის უანრობრივი დატვირთვა ანუ მისი გამოყენება სხვადასხვა უანრის ნაწარმოებში განსხვავებულია. კერძოდ, კალამბური შეიძლება იყოს ირონიული, სატირული, სარკასტული ან სხვა ეფექტით გამოყენებული. თუ კალამბურის ძირითადი ფუნქცია ანეკდოტებში იუმორისტული და სახალისო ეფექტის შექმნაა, მხატვრულ ლიტერატურაში, კალამბური ძირითადად ირონიული, სატირული და სარკაზმული ხასიათისაა, თუმცა ზოგჯერ სახალისო და სახუმაროც კი.

ლიტერატურულ ნაწარმოებებში, კალამბურის გამოყენება წინასწარი განზრახვით ხდება, რადგან სიტყვათა თამაში, როგორც ლიტერატურული ტექნიკა ბევრი მწერლის შემოქმედებისთვისაა დამახასიათებელი. ისინი ამ სტილისტურ ხერხს შეგნებულად იყენებენ შემდეგ შემთხვევებში: გონებამახვილური, რიტორიკული ექსკურსი, უცნაურად აგებული წინადადებები, სიტყვათა ბუნდოვანი მნიშვნელობა, პერსონაჟთა სახელების გონებამახვილური გამოყენება და სხვა.

მეორე მხრივ, არ არის გამორიცხული, რომ ავტორს სულაც არ ჰქონდეს ჩაფიქრებული სიტყვათა თამაშის რომელიმე სახის ინტენციურად გამოყენება ნაწარმოებში, მაგრამ მახვილგონიერმა მკითხველმა თუ მსმენელმა ამა თუ იმ წინადადებაში აღმოაჩინოს კალამბური და შესაბამისად მოახდინოს მისი მრავალგვარი ინტერპრეტაცია.

თავი 4

კალამბურული სიტყვათა თამაში გამოცანებში

ჩვენი ნაშრომის არსიდან გამომდინარე, წინამდებარე ქვეთავში გამოცანის რაობასთან ერთად განვიხილავთ, თუ როგორ იქმნება სიტყვათა თამაშის ეფექტი გამოცანაში. აღნიშნულ ქვეთავს გამოცანით დავიწყებთ.

“When first I appear I seem mysterious, but when I’m explained I am nothing serious.” --- **A Riddle**” (Cohen 1996:294).

განვიხილოთ ზოგადად, რა არის გამოცანა. იგი არის საგნის ან მოვლენის პოეტური, ნართაული დახასიათება თვით ამ ობიექტის დაუსახელებლად მისი გამოცნობის მიზნით. გამოცანა ჯერ კიდევ პირველყოფილ საზოგადოებაში იყო ცნობილი. თავდაპირველად მას საკულტო მნიშვნელობა ჰქონდა, იმ უძველეს წარმოდგენებს უკავშირდებოდა, რომლებიც საგნის ან მოვლენის საკუთარი სახელით მოხსენიებას კრძალავდა.

მოგვიანებით გამოცანამ მხატვრულ-ესთეტიკური და შემეცნებითი ფუნქცია შეიძინა. მისი დანიშნულებაა ადამიანში გონებამახვილობისა და დაკვირვების უნარის განვითარება. გამოცანის თემატიკა შეუზღუდავია, მისი ფორმა - კომპაქტური, დახვეწილი, უმთავრესად რიტმული, ზოგჯერ რითმიანიცაა („კეკეცე, კეკეცე - ვერ დავკეცე“, „დავკარ ხმალი, არ დააჩნდა კვალი“ და სხვა).

გამოცანა გვხვდება ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრში. (გამოცანის ნიმუშები იხ. წიგნში „ხალხური სიბრძნე“, ტ. 5, 1965).

უცხო სიტყვათა ლექსიკონის სხვადასხვა განმარტების თანახმად არსებობს გამოცანის არაერთი სახეობა, უფრო სწორედ კი მრავალი ტროპის სახის განმარტება იდენტურია გამოცანის განმარტებისა. მაგ:

ენიგმატური გამოცანა (ainigma; ainigmatos) საიდუმლოებით მოცული, გამოუცნობელი;

ლოგოგრიფი [ბერძ. logos სიტყვა და griphos გამოცანა] - ერთგვარი შარადა, რომელშიც ჩაფიქრებული სიტყვა იღებს სხვადასხვა მნიშვნელობას მარცვლების ან ასოების გადასმა – გამოკლებით, რაც საბოლოოდ გვეხმარება

გამოცანის სწორი პასუხის მიღებაში. მაგალითისთვის მოვიყვანოთ შოთა ამირანაშვილის მაგალითი.

მორაკრაკებს მთიდან ველზე

წყაროსავით ანკარა, -

ერთ მარცვალში ჩაეტევა,

სახელია პატარა.

დასკვნისათვის კი თავთავის

სხვა სახელი გვჭირდება,

სიტყვებს შორის ბგერის ჩასმაც

თუ არ გაგიჭირდება, -

საარაკო მწერალია,


პოეზიის დიდება.

პასუხი: რუ - ს - თაველი.

მონოსტიქის (monostichos) სახელით ცნობილია დამთავრებული აზრის შემცველი ერთსტრიქონიანი ლექსი; ჩვეულებრივ, ასეთია ხოლმე ანდაზა, გამოცანა, აფორიზმი, რაიმე წარწერა. (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989.)

„ცალი ხელით ტაში არ დაიკვრება“.

რებუსი (rebus "ნივთებით", "საგნებით") გამოცანა, რომელშიც გამოსაცნობი სიტყვა ან ფრაზა მოცემულია ნახატების, ნიშნების, ასოების კომბინაციით. მაგ: **ლიმონ -10; დონ -2;**

H +  = Hear, or Here და სხვ.

შარადა [ფრანგ. charade] - თამაშ-გამოცანა, რომელშიც ჩაფიქრებული სიტყვა დაყოფილია ნაწილებად და თითოეულ ნაწილს აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა.

I talk, but I do not speak my mind
I hear words, but I do not listen to thoughts
When I wake, all see me
When I sleep, all hear me
Many heads are on my shoulders
Many hands are at my feet
The strongest steel cannot break my visage
But the softest whisper can destroy me
The quietest whimper can be heard.
("an actor").

თანამედროვე გამოცანები, ძირითადად, სიტყვათა თამაშის პრინციპითაა აგებული. განსაკუთრებით კითხვა-პასუხის მქონე სახუმარო გამოცანებშია კალამბური გამოყენებული, იუმორული ეფექტის შესაქმნელად. კვლევა ადასტურებს, რომ თანამედროვე სამყარო მუდმივად ისწრაფვის ისაუბროს მეტაფორებით, სიტყვების თამაშით, მათ შორის, გამოცანებით. ამას მოწმობს ზეპირ თუ წერილობით კომუნიკაციებში მათი ინტენციური გამოყენება.

სანამ კონკრეტული მაგალითების ანალიზზე დაყრდნობით, დასმულ პრობლემაზე მსჯელობის ძირითად ნაწილზე გადავალთ, აუცილებელ წინაპირობად მიგვაჩნია მოცემული ჟანრის აზრობრივი სტრუქტურის თეორიულ პლანში გააზრება. როგორც წესი, გამოცანების შესაქმნელად იყენებენ არაერთ ტექნიკას. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია სიტყვის ან ფრაზის ორაზროვნება.

როგორც შეიძლება აღნიშნავს, იუმორის ძირითადი წყარო გამოცანებსა და ხუმრობებში, მეტაფორები, იდიომები და გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვებია. (Shade 1991).

ასევე აუცილებელი პირობაა ორაზროვნების გამოვლენა და მათი სხვაგვარად აღქმა.

პეპისელოსა და გრინის აზრით, არსებობს გამოცანისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა სტრატეგია (Pepicello & Green 1984). თუმცა, მათი საერთო შეხედულებაა ის, რომ იუმორი მჭიდრო კავშირშია ორაზროვნებასთან, ეს იქნება ენობრივი თუ კონტექსტუალური, რათა დააბნიოს მსმენელი/მკითხველი. ატარდოს აზრიც სრულიად შეესაბამება მათ მოსაზრებას. იგი აღნიშნავს, რომ ამ სხვადასხვა ლინგვისტურ სტრატეგიას აერთიანებს ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სემანტიკური და სინტაქსური მსგავსება. რაც იწვევს მოპასუხის დაბნევას და ხშირად თან ახლავს კომიკური ეფექტი (Attardo 1994).

იმისათვის რომ, სასურველ ეფექტს მივაღწიოთ, მთხრობელმა არა მარტო გონივრულად და საკმარისი ინფორმაციით უნდა დატვირთოს გამოცანის ტექსტი (რათა მკითხველმა/მსმენელმა შეძლოს მისი გამოცნობა), არამედ უნდა გამოიყენოს სხვადასხვა სტილისტური ხერხი და საშუალება, სიტყვათა თამაში, რათა ნათქვამი გახდეს ბუნდოვანი და გამოიწვიოს მკითხველის/მსმენელის დაბნევა.

სხვადასხვა მეცნიერი, მაგალითად: პეპისელო და გრინი (Pepicello & Green 1984), ბერნსი (Burns 1976) მნიშვნელობის ასეთი ფორმით შენიღბვას ორაზროვნებას უწოდებენ. ზოგჯერ ეს ორაზროვნება მეტაფორის გონივრული გამოყენებით ან ენის სხვადასხვაგვარი მანიპულაციითა თუ ფორმირებით მიიღწევა.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ნებისმიერი სახის გამოცანა განიხილება ორ ჩარჩოში: კულტუროლოგიურ და ლინგვისტურ ჭრილში.

როგორც კანგას მარანდა (Maranda 1971) მიიჩნევს, გამოცანა შედგება ორი, ერთმანეთთან დაკავშირებული ნაწილისაგან: გამოცანის იმიჯი (სახე, ფორმა) და მისი პასუხი. გამოცანა შეიძლება იყოს სხვადასხვა ფორმის, თუმცა უფრო ხშირია (ნათლად ჩანს ინგლისური ენის მაგალითებზეც) შეკითხვის ფორმის გამოცანები (Kallen 1981). კოჰენის (Cohen 1996) აზრით, გამოცანის კითხვის ფორმა განსხვავებულია ჩვეულებრივი კითხვისაგან. სრულიად, ვეთანხმებით მის

მოსაზრებას, რადგან გამოცანის პასუხის მინიშნება თვითონ გამოცანის კითხვაშივეა მოცემული. რაც ასე არ არის, სხვა ჩვეულებრივ შემთხვევებში.

გამოცანის ფორმასა და მის პასუხს შორის განსაკუთრებულ კავშირს (ურთიერთობას) აღწერს სკოტიც (Scott 1965). იგი ამბობს, რომ ეს არის „გარკვეულწილად ბუნდოვანი სემანტიკური კავშირი“ (partially obscured semantic fit) გამოცანის ორ ნაწილს შორის (იგულისხმება კითხვა, პასუხი).

რაც შეეხება ორაზროვნებას, პეპისელო და გრინი გამოყოფენ ლინგვისტური ორაზროვნების სამ სახეს: ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სინტაქსური. მათი კლასიფიკაციის გათვალისწინებით და ჩვენს მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციის მიხედვით, განვიხილავთ სახუმარო გამოცანებს, რომლებიც შეიცავენ შემდეგი სამი სახის კალამბურს:

1. ლექსიკურ – სემანტიკური კალამბური
2. სტრუქტურული – სინტაქსური კალამბური
3. სტრუქტურულ - სემანტიკური კალამბური

აღნიშნული კლასიფიკაციიდან გამომდინარე, მათ ვუწოდებთ ლექსიკურ - სემანტიკური, სტრუქტურულ - სინტაქსური და სტრუქტურულ - სემანტიკური ორაზროვნების ფონზე შექმნილ კალამბურულ გამოცანებს.

მოცემული კლასიფიკაციის მიხედვით, განვიხილოთ კალამბურული გამოცანის კონკრეტული მაგალითები.

4.1. ლექსიკურ - სემანტიკური ორაზროვნება და კალამბურული გამოცანა

წინამდებარე ქვეთავში განვიხილავთ ლექსიკურ - სემანტიკური ორაზროვნების ფონზე შექმნილ კალამბურულ გამოცანებს. მაგ:

1. Q: Where do fish learn to swim?

A: They learn from a **school**. (Carroll, Alice' Adventures in Wonderland)

ამ გამოცანაში, სიტყვა **school** ორაზროვანია, რადგან ინგლისურში იგი პოლისემიური სიტყვაა და ნიშნავს: 1. საგანმანათლებლო დაწესებულება. 2. თევზების გუნდი.

სიტყვათა თამაში ხორციელდება, სიტყვის პოლისემიურობისა და ომონიმის საფუძველზე. ორაზროვნებას სწორედ სიტყვის **school** ტერმინალების გადართვა იწვევს.

2. Q: Why don't you starve in the desert?

A: Because of all the **sand which is** there.

მაგალითში, ფრაზას **sand which is** და სიტყვას **sandwiches** ერთნაირი უდერაღობა აქვთ. კითხვაში ასევე ნახსენებია სიტყვა **desert** (უდაბნო), რომელიც უდერაღობით ასევე ჰგავს სიტყვას **dessert** (დესერტი). სახუმარო გამოცანა დამაბნეველია, თუმცა გარკვეულწილად მინიშნება კითხვაშია მოცემული. ანალოგიურად ხდება ტერმინალების გადართვა, იცვლება სკრიპტი და პასუხში უკვე იქმნება კალამბური, ომოფონიის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ სიტყვათა თამაში ხორციელდება ვერბალურ დონეზე (ზეპირმეტყველებაში).

3. Q: Woman: What is the brightest **idea** in the world?

A: Man: Your **eye, dear**.

მსგავსი უდერაღობის სიტყვები **idea** და **eye, dear** ძირითადი საშუალებაა აღნიშნულ მაგალითში კალამბურის შექმნისა. უკვე განხილული მაგალითებისაგან (1), (2) განსხვავებით, სადაც კითხვაში მხოლოდ

შინაარსობრივი მინიშნებაა მოცემული, მაგალითის (3), კითხვაში პირდაპირ მოცემულია კალამბურული, ომოფონური სიტყვა, რაც მასხვილ ყურს არ გამოეპარება.

4.Q: What is the difference between a baby and a coat?

A: One you **wear**, one you **were** .

გამოცანის კითხვის მიხედვით, რეციპიენტის გონებაში ჩნდება გაურკვეველი სკრიპტი, რადგან, კითხვა - რა განსხვავებაა ბავშვსა და პალტოს შორის? არ ქმნის რაიმე განსაკუთრებულ ფრემს. მხოლოდ პასუხის გაგების შემდეგ ხდება ნათელი კალამბურული სიტყვათა თამაშის ეფექტი.

ორაზროვნებას იწვევს სიტყვების ომოფონია. **wear** (ტანსაცმლის ტარება) და **were** (ყოფნა ზმნის წარსული ფორმა – იყვნენ).

5.Q: What has a lot of **keys** but cannot open any doors?

A: A piano.

სიტყვა **key** პოლისემიურია და ნიშნავს: 1. გასაღებს 2. პიანინოს კლავიშებს. მინიშნება მოცემულია გამოცანის კითხვაში.

6. Q: Why didn't the skeleton go to the party?

A: Because he didn't have **any BODY** to go with!

უღერადობით **any BODY** და **anybody** ერთნაირია. ამ შემთხვევაში კალამბურულ სიტყვათა თამაშს ქმნის ომოფონია.

ლექსიკურ-სემანტიკურ ორაზროვნებაზეა აგებული შემდეგი იუმორული გამოცანაც.

7. Q: Why did they ask the turkey to join the band?

A: He had the **drum sticks**.

მინიშნება მოცემულია კითხვაში **to join the band**. იმისათვის, რომ ბენდს შეუერთდეს, რაღაც კავშირი უნდა გაქონდეს მუსიკასთან, უკრავდეს, მღეროდეს ან სხვ. ანუ, ჩვენს წარმოსახვაში იქმნება სხვა ფრემი, სხვა ხატი. აქ მინიშნებას

გვაძლევს ასევე სიტყვა **turkey**. პასუხში მოცემული **drum sticks** კი, იწვევს გაცრელებული მოლოდინის ეფექტს, რაც გამოცანას სახალისოს ხდის. ორაზროვნებას ქმნის სიტყვის პოლისემიურობა. **drumstick** – დოლის, ბარაბანის ჯოხი; მოხარშული ქათმის, ბატის ან ინდაურის ბარკალი.

8.Q: Why wasn't the turkey hungry at Christmas time?

A: Because he was stuffed.

შეიძლება ითქვას, რომ მინიშნება მოცემულია კითხვაში, შემდეგი სიტყვებით: შობა, ინდაური. ორაზროვნებას ქმნის სიტყვის **stuffed** პოლისემიურობა და იწვევს სასურველ შედეგს, ღიმილს.

Stuffed – 1. სავსე გამოტენილი. 2. მაძღარი

გარდა ამისა, აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ კულტუროლოგიური ცოდნა – საშობაოდ მომზადებული ფარშით დატენილი ინდაური (**stuffed turkey**)

9. Q: What has an eye but cannot see?

A: A needle

მოცემული გამოცანის კითხვა ლოგიკურად უკავშირდება პასუხს. ლინგვისტურ ორაზროვნებას ქმნის სიტყვის პოლისემიურობა. (**eye** – თვალი; ნემსის ყუნწი).

თუმცა ამ გამოცანას სხვა ლოგიკური პასუხიც შეიძლება გასცეს მკითხველმა თუ მსმენელმა. მაგ: ბრმა ადამიანი და სხვ.

10. Q: When is a doctor most annoyed?

A: When he is out of patients (patience).

ორაზროვნება შექმნილია სიტყვების **patients; patience** ომოფონიის საფუძველზე. ერთ შემთხვევაში, როდესაც ექიმი მოთმინება დაკარგულია ანუ მდგომარეობიდანაა გამოსული და მეორე – როდესაც, პაციენტები არ ჰყავს.

11. Q: What musical instrument should one not believe?

A: A **lyre (liar)**.

მინიშნება მოცემულია კითხვაში. იქმნება ფრეიმი, შემდეგ კი ხდება ტერმინალების გადართვა. იუმორს ქმნის გამოცანის ორაზროვანი პასუხი, ომოფონიის საფუძველზე შექმნილი კალამბურული სიტყვათა თამაში. ერთ შემთხვევაში მუსიკალური ინსტრუმენტი **lyre** – ქნარი, ლირა და მეორე შემთხვევაში **liar** – მატყუარა.

12. Q: What is the monster's favourite office building?

A: The Vampire State Building

მინიშნება მოცემულია გამოცანის კითხვაში. პასუხში, მინიშნებიდან გამომდინარე The Empire State Building შეცვლილი ფორმითაა მოცემული The Vampire State Building ანუ სახეზეა ვამპირისა და მონსტრის ასოციაცია. შესაძლოა ასეთი კალამბურული სიტყვათა თამაში განვიხილოთ, როგორც სიტყვათა თამაშის ერთერთი კატეგორია, რომელიც უახლოვდება ინტენციური სკუნერიზმის სახეობას.

13. Q: How much does a **pirate** pay to get his ears pierced?

A: A **buck an ear** (buccaneer).

წინამდებარე მაგალითის ანალოგიურად, მინიშნება მოცემულია კითხვაში. პასუხი კი ომოფონურია. A **buck an ear** – ერთი დოლარი ერთ ყურში. მისი ომოფონი **buccaneer** კი კითხვაში მოცემული მინიშნების სინონიმია. (**pirate** – მეკობრე **buccaneer** – მეკობრე).

ამგვარად, განხილულ გამოცანაში გვაქვს, სინონიმურ-ომოფონური ორაზროვნების ფონზე შექმნილი კალამბური.

14. Q: Why do we still have troops in Germany?

A: To keep the Russians in **Czech**"

მოცემულ იუმორში, ორაზროვნებას ქმნის ომოფონური სიტყვები **check** (შემოწმება, კონტროლი) და **Czech** (ჩეხეთი).

15. Q: What do insects learn at school ?

A: Moth-matics

მინიშნება მოცემულია გამოცანის კითხვაში სიტყვით - **(insects)**. პასუხი კი, სხარტულად აქვს გაცემული. **Moth** – ჩრჩილი. კალამბურულ სიტყვათა თამაშს ქმნის ომოფონია.

აღსანიშნავია, რომ ქართულ თარგმანში, როგორც წესი კალამბური თითქმის არ გადმოდის. ამ შემთხვევაში კი, პასუხი სახალისოდ ითარგმნება „ჩრჩილის –მატიკა“.

-რას სწავლობენ მწერები სკოლაში?

- ჩრჩილის – მატიკას.

16. Q: What is a cow's favorite subject in school?

A: Moooooooooosic.

ასევე, მინიშნება მოცემულია კითხვაში **subject in school**. თუ ხმაბაძვით სიტყვებს (ონომატოპეა) გავითვალისწინებთ, პასუხსაც უმაღლ მივხვდებით ომოფონიის საფუძველზე.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ამ მაგალითშიც გადმოდის კალამბურული სიტყვათა თამაში ქართულ ენაზე, რასაც განაპირობებს ონომატოპეა. სიტყვები, ერთ ენაზე (ამ შემთხვევაში ინგლისურსა და ქართულზე) უღერადლობით უნდა ჰგავდეს ან ახლოს იყოს ერთმანეთთან.

-რომელია ძროხის საყვარელი საგანი სკოლაში?

- მუუუუუუსიკა.

17. Q: Why did the small bucket go sunbathing?

A: It was a little pail.

მაგალითების უმეტესობის მსგავსად, მინიშნება კითხვაშია მოცემულია. კალამბურული სიტყვათა თამაში ხდება ომოფონიის საშუალებით. **bucket** (ვედრო) სინონიმია სიტყვისა **pail** (ვედრო). ხოლო **pail**, ომოფონია სიტყვისა **pale** – ფერმკრთალი.

18. Q: What's the difference between the Prince of Wales and a tennis ball?

A: One is heir to the throne and the other is thrown into the air.


-რა განსხვავებაა უელსის პრინცსა და ტენისის ბურთს შორის?

-ერთი არის ტახტის მემკვიდრე, ხოლო მეორეს აგდებენ ჰაერში.

ლექსიკური-სემანტიკური კალამბურის სახე, სადაც ორაზროვნებას ქმნის სიტყვების ომოფონია.

1. Heir – მემკვიდრე 2. Air – ჰაერი 3. Throne – სამეფო ტახტი 4. Thrown - წარსული ფორმა ზმნის To throw - გადაგდება, გადასროლა.

როგორც უკვე ვახსენეთ ზემოთ განხილულ რამდენიმე მაგალითში, ადგილი აქვს ჩვენს მიერ წოდებულ *ჯვარედინ* -კალამბურულ სიტყვათა თამაშს.



4.2. სტრუქტურულ - სინტაქსური ორაზროვნება და კალამბურული გამოცანა

წინამდებარე ქვეთავში განვიხილავთ სტრუქტურულ-სინტაქსური ორაზროვნების ფონზე შექმნილ კალამბურულ გამოცანებს. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ასეთი სტრუქტურით აგებული გამოცანები არ არის ფართოდ გავრცელებული, ყოველ შემთხვევაში ჩვენს მასალაში ეს არ დასტურდება.

1. - How do you stop a fish from smelling?

- Cut off its nose.

შესაძლოა განვიხილოთ აღნიშნული მაგალითის ორი სხვადასხვა გრამატიკული სტრუქტურა. ორივე შემთხვევაში ფიგურირებს სიტყვა **smelling** სხვადასხვა ინტერპრეტაციით. ერთ შემთხვევაში **სუნის აღენა/აყროლება** და მეორე შემთხვევაში **ყნოსვა**.

ამგვარად, შესაძლებელია ერთიდაიმავე სტრუქტურით მოცემული წინადადების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია.

How do you stop a fish from smelling?

1. როგორ უნდა დავიცვათ თევზი აყროლებისგან?
2. როგორ უნდა შევუწყვიტოთ თევზს ყნოსვის უნარი?

4.3. სტრუქტურულ - სემანტიკური ორაზროვნება და კალამბურული გამოცანა

როგორც ვიცით, სემანტიკური ორაზროვნება იწვევს ფიქსირებული სიტყვის, ფრაზის ან წინადადების სხვადასხვაგვარად გაგებას ერთ კონტექსტში, ყოველგვარი ლექსიკური თუ სტრუქტურული ორაზროვნების არსებობის გარეშე.

გამოცანის სემანტიკური სტრუქტურა რთული აგებულებით ხასიათდება. გამოცანის შემთხვევაში კავშირი ხატის პლანებს შორის ძნელი მოსაძებნია და მისი პოვნა გამომცნობის მოვალეობაა. გამომცნობი გამოცანის დეკოდირების პროცესში ექსპლიციტურ დონეზე დაყრდნობით, ცდილობს საკუთარ მესიერებაში დაფიქსირებული ზოგადი სამყაროს პრესუპოზიციური მოდელის წყალობით იპოვოს გამოცანის იმპლიციტური დონე. მაგალითად: „ასი, ასი, ასლამაზი, ასი კაბა მაცვია, ოქროსფერი ქოჩორი თავზე გადამვარცხნია“. – ამ გამოცანის ექსპლიციტურ დონეზე სახეზე გვაქვს ხატოვანი ფორმა, ხოლო გამომცნობი ცდილობს სამყაროს მოდელის იმ ნაწილის აქტუალიზებას, სადაც შეიძლება არსებობდეს ამ ხატის გასაღები – მსგავსება „ოქროსფერ ქოჩორსა“ და სიმინდის თმას შორის, „ას კაბასა“ და სიმინდის ნედლ ფუჩქებს შორის და ამაზე დაყრდნობით ხდება გამოცანის იმპლიციტური შინაარსის „ამოტივტივება“ (რუსიეშვილი 2005).

განვიხილოთ სტრუქტურულ-სემანტიკური ორაზროვნებით შექმნილი კალამბურული გამოცანები.

1. Q: When do parents complain because of eye pain?

A: When they **have their eye on you!**

გამოცანაში დასმულ კითხვას, სხვადასხვა პასუხი შეიძლება გავცეთ. დამოკიდებულია მკითხველისა თუ მსმენელის გონებამახვილობაზე.

შესაძლოა კითხვის პირდაპირი მნიშვნელობით გაგება. თუმცა, პასუხი მეტად სხარტია. ამ კონკრეტულ მაგალითში, ორაზროვნებას ქმნის ფრაზა **to have an eye on** (თვალყურის დევნება, თვალის ჭერა). გაოცებას და ღიმილს იწვევს ასეთი მოულოდნელი პასუხი. გამოცანის კითხვა პირდაპირ გულისხმობს

სხეულის ნაწილს (ამ შემთხვევაში თვალს), რომელსაც პასუხად მოსდევს ერთი შეხედვით არაადეკვატური წინადადება. სწორედ ეს მოულოდნელი არაადეკვატური ანუ სემანტიკური ორაზროვნება იწვევს გაცრელებული მოლოდინის ეფექტს და ქმნის სტრუქტურულ - სემანტიკურ კალამბურს. ერთმანეთს უპირისპირდება ორი სხვადასხვა სკრიპტი და ხდება ტერმინალების გადართვა.

2. Q: What did the fridge say to the mayonnaise?

A: Don't come in. **I've got a cold!**

გამოცანის პასუხი გონებამახვილურია. გამოთქმა **I've got a cold** ნიშნავს **გავცივდი**. რასაკვირველია პასუხი, სახუმაროა, რადგან შეუძლებელია მაცივრის გაციება იმ თვალსაზრისით, რა დატვირთვაც ამ ფრაზას აქვს. თუმცა, მაცივარი მხოლოდ ერთგვარ მინიშნებადაა გამოყენებული, რომელიც ასოცირდება ცივთან, სიცივესთან და არ არის გამოყენებული მისი აზრობრივი დატვირთვით, ვთქვათ ისე, როგორც კარადა.

3. Q: What did Adam say the day before Christmas?

A: It's Christmas, Eve!

აღნიშნული მაგალითი წარმოადგენს სტრუქტურულ - სემანტიკურ ორაზროვნებაზე აგებულ იუმორზე დაფუძნებულ გამოცანას. კითხვაში, **What did Adam say the day before Christmas?** მოცემულია მინიშნება სახელით **ადამი**. მაგრამ, შინაარსობრივი დატვირთვა მოდის პასუხში გამოყენებულ სიტყვაზე **Eve**, რომელიც თარგმანში შეიძლება მივიჩნიოთ როგორც დღესასწაული (შობის საღამო). თუმცა, გამოყენებული სასვენი ნიშანი იწვევს ორაზროვნებას და გვაძლევს სხვაგვარად თარგმნის საშუალებას. ამიტომ, მოცემული სიტყვა შეიძლება ითარგმნოს, როგორც ქალის სახელი ევა.

ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ განხილული გამოცანა, კომიკურ ეფექტს განსაკუთრებით ვერბალურ დონეზე ქმნის. თუმცა წერითი ფორმითაც მისახვედრია.

მეოთხე თავის დასკვნა

ნაშრომის მეოთხე თავში გამოიკვეთა, თუ როგორ იქმნება კალამბურული სიტყვათა თამაშის ეფექტი გამოცანაში. რადგან, გამოცანისათვის დამახასიათებელია მხატვრულ-ესთეტიკური და შემეცნებითი ფუნქცია, ასევე მისი დანიშნულებაა ადამიანში გონებამახვილობისა და დაკვირვების უნარის განვითარება. შესაბამისად, მისი სტრუქტურა აერთიანებს სხვადასხვა ლინგვისტურ სტრატეგიას (ლექსიკური, ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სემანტიკური, სტრუქტურული და სინტაქსური). რაც იწვევს მოპასუხის დაბნევას და ხშირად თან ახლავს კომიკური ეფექტი.

კვლევაში დაადასტურა, რომ სასურველი ეფექტის მისაღწევად, აუცილებელია არა მარტო გამოცანის ტექსტის გონივრულად და საკმარისი ინფორმაციით დატვირთვა, არამედ აუცილებელია სხვადასხვა ლინგვისტური და სტილისტური ხერხების გამოყენება. გამოცანის უპირობო მახასიათებელია ორაზროვნება, რაც იწვევს მკითხველის/მსმენელის დაბნევას, ქმნის გაცრუებული მოლოდინის ეფექტს და გამოცანას სახალისოს ხდის.

თავი 5

სიტყვათა თამაშის გამოყენება პიარ - ტექნოლოგიებში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიტყვათა თამაში მეტად აქტუალური თემაა და მეცნიერთა კვლევის საგანს წარმოადგენს სხვადასხვა მიმართულებით. ჩვენი კვლევისათვის მნიშვნელოვანია, სწორედ სარეკლამო რგოლების შესწავლა და მათი განხილვა პიარ - ტექნოლოგიებში ლინგვისტური კუთხით.

ასეთი ანალიზი რეკლამის ახლებურად შესწავლის და მისი ზემოქმედების ეფექტურობის დადგენის საშუალებას იძლევა. აქ გათვალისწინებულია რგოლის, როგორც ვიზუალური, ასევე ვერბალური მახასიათებლები.

რეკლამას, როგორც მასკულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს, თანამედროვე მსოფლიო ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. დღევანდელი საზოგადოება, ფაქტობრივად წარმოუდგენელია რეკლამის ზეგავლენის გარეშე. იგი არის ყველგან: ტელევიზიაში, რადიოში, ჟურნალ-გაზეთებში, ბანერებზე და სხვ.

თანამედროვე რეკლამებში, ნიშნის კონოტაციური ბუნება წინაა წამოწეული, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ზემოქმედება მომხმარებელზე. ზემოქმედება გულისხმობს:

1. ყურადღების გამახვილებას სარეკლამო ობიექტის ძირითად შეტყობინებაზე.
2. ზემოქმედება სარეკლამო საშუალების ყველა სტრუქტურულ ერთეულს ეხება - დასაწყისს, ტექსტს, ვიზუალურ მხარეს, სლოგანს და ა.შ.
3. ზემოქმედების ეს საშუალებები წინასწარ შეიძლება იყოს დაგეგმილი და მოთავსებული სარეკლამო ტექსტში ან ვიზუალურ ხატებში.

რეკლამირებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გაფორმებას, სიტყვიერი მასალის ლაკონურობასა და ლექსიკურ ერთეულთა პოლისემანტურობას, რომელთა ფუნქციაც ადრესატის გაოცება, ეფექტი და დაინტერესებაა. რაც სწორედ ენობრივი თამაშებით მიიღწევა სარეკლამო სფეროში.

სიტყვათა თამაშის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეა ომონიმის, ომოფონიისა და პოლისემიის პრინციპზე დამყარებული კალამბური. კალამბური ერთგვარი თავსატეხია და შესაბამისად, მისი დეკოდირებაც რეციპიენტისთვის (აღმქმელისთვის) ესთეტიკურ სიამოვნებას (ამოცნობის სიხარულს) უკავშირდება.

ქართულენოვან რეკლამებში, როგორც წესი, მარტივი სახის სიტყვათა თამაშებს ვხვდებით (საინტერესოა, რომ ამ მხრივ განსაკუთრებით საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების რეკლამები გამოირჩევა). მაგ:

1. „**განხორციელებული**“ [ოცნება] – ხორც - პროდუქტების მწარმოებელი ფირმის ე.წ. სლოგანი;
2. **ჩაიფიქრე** – ჩაის რეკლამა;
3. **განიქარვე** (ქართული ლუდის და ზეთის რეკლამა) – „ქარვა, ქარვის ფერი.“
4. **უკან მორჩენილი პრობლემები** (ბუასილის წამლის რეკლამა) და სხვ.

სარეკლამო შეტყობინების განხილვისას, სხვადასხვა ტროპები და ფიგურები გვხვდება. ადრეულ რეკლამებში რიტორიკულ ფორმებს ნაკლებად ექცეოდა ყურადღება. ტროპებით და ფიგურებით სარეკლამო პროდუქტის გამომხატველობა მაღლდება, რაც ამ პროდუქტის შექმნის ალბათობის ზრდას უწყობს ხელს. რიტორიკული ფორმები და საშუალებები არა მხოლოდ სარეკლამო რგოლის სათაურში, არამედ მთლიან ტექსტშიც გვხვდება. სათაურებში უმეტესად პოზიტიური ემოციების შექმნას ცდილობენ, რაც შემდგომ ტექსტებზეც ვრცელდება. რიტორიკული საშუალებები ინფორმაციის მიწოდებასაც უწყობს ხელს. როგორც აღმოჩნდა, სარეკლამო რგოლებში მეტაფორა და სიტყვების თამაში ყველაზე ხშირად გამოიყენება.

რ. ბარტი ყოველ რეკლამას შეტყობინებას უწოდებს, რადგან მას ინფორმაციის გამგზავნი და შესაბამისი ადრესატიც ჰყავს (Барт 2003, 1994, 2000). კომუნიკაციის პროცესში შემავალი შეტყობინებაა - რეკლამა. სწორედ კომუნიკაციის ფარგლებში უნდა განხორციელდეს სარეკლამო შეტყობინების ანალიზი, სადაც ყოველი შეტყობინება აღნიშნულის (გამოხატვა) და აღსანიშნის (საზრისი, გარკვეული შინაარსის ქონა) საფუძველზეა აგებული.

რ. ბარტი სარეკლამო ფრაზას (ან ფრაზებს) ორ შეტყობინებად თვლის, რომლებიც ურთიერთკავშირშია და რეკლამის ენის სპეციფიკას ავლენს. ეს შეიძლება სლოგანზეც გავრცელდეს.

რ. ბარტი ასევე წერს: შეიძლება ითქვას, რომ „კარგი“ სარეკლამო შეტყობინება ისაა, რომელიც შეიცავს მდიდარ რიტორიკას და ზუსტად (ხშირად ერთი სიტყვით) ეხება ადამიანების მნიშვნელოვან მოტივაციას, რომლის დროსაც ხდება იმ ძლიერი ხატების გამოვლენა, რაც პოეზიასაც ახასიათებს. სხვა სიტყვებით სარეკლამო ენის კრიტერიუმები იგივეა, რაც პოეზიაში რიტორიკული ფიგურები, მეტაფორები, სიტყვათა თამაში - ყველა ეს ორმხრივობის ნიშანია, რაც ავსებს ენას ლატენტური (ფარული, გამოუმჟღავნებელი) აღსანიშნით და ადამიანს მთლიანობის განცდას სთავაზობს” (Bart 1994:414).

ზოგჯერ პოლისემანტურ სიტყვათა შედგენა არა ერთი ენის ფარგლებში, არამედ სხვადასხვა ენის ცალკეულ ლექსებათა შეერთებით გადმოიცემა. ანუ, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ორენოვან ან ენათაშორის სიტყვათა თამაშთან (კალამბურთან). ამ დროს სიტყვის მნიშვნელობა ორგვარადაა გადმოცემული (ორაზროვანია) ისე რომ, შენარჩუნებულია აღსანიშნის ერთადერთობა. მსგავს შემთხვევებში გააქტიურებულია ხან სიტყვიერი და ხან ვიზუალური სარეკლამო კოდი. ჩვენი მიმართულება, თემის ინტერესებიდან გამომდინარე, ვერბალური კოდისაკენ მიდის. თუმცა, ხშირ შემთხვევებში, ვიზუალურ კოდს ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება და დაქვემდებარებული ფუნქციითაა წარმოდგენილი.

ვეყრდნობით ც. კილანავას სტატიაში „ენობრივი ექსპერიმენტები ქართულ მასკულტურაში“ მოყვანილ რამდენიმე მაგალითს.

(<http://lib.ge/book.php?author=1161&book=8401>)

(1) რამდენიმე წლის წინ, ქართულ ტელეარხებზე გადიოდა საყოფაცხოვრებო ტექნიკის მწარმოებელი ფირმის რეკლამა. სარეკლამო კამპანია ორ ეტაპად წარიმართა. თავდაპირველად ეკრანზე ლათინური ასოებით იწერებოდა სიტყვა **IDROWE**. (გამორიცხული იყო ვიზუალური კოდი, მთელი დატვირთვა ტექსტზე მოდიოდა). ქართველი მაყურებელი, ბუნებრივია ქართულად კითხულობდა (**იდროვე** – არ იჩქაროს მნიშვნელობით). სავარაუდოდ, სიტყვა გათვლილი იყო მომხმარებელზე, არ ეჩქარა რაიმე სხვა საყოფაცხოვრებო ნივთის შეძენა

მოცემული მწარმოებელი ფირმის იდენტური პროდუქციის შექენამდე. აქ სიტყვათა თამაში ბილინგუალიზმის საშუალებით ხორციელდება. შესაძლოა მისი ორენოვან კალამბურად ჩათვლა. ორენოვანი კალამბური, კალამბურის ისეთი სახეა, სადაც „სიტყვა“ ერთ ენაზე ჰგავს მეორე ენის სიტყვას.

მეორე ეტაპზე, გარკვეული დროის შემდეგ ეკრანზე გამოჩნდა იგივე სიტყვა, ოღონდ შებრუნებული წყობით **EWORD** (ინგლ. დაჯილდოება). ეს კი უკვე ფირმის სახელწოდება იყო. ბოლოკიდური „ი“ გაგებულ იქნა, როგორც სახელობითი ბრუნვის ნიშანი. აქ „არასრული პალინდრომის“ და ამავე დროს „არასრული ანაგრამის“ სახე გვაქვს მოცემული (როდესაც სიტყვაში ასოების გადანაცვლების დროს, ზოგიერთი ასო იკარგება ანუ გამოტოვებულია).

აღნიშნულ მაგალითში, მნიშვნელოვანია ის, რომ სარკისებური ეფექტი მიიღწევა არა ერთი ენის ფარგლებში, არამედ ორი ენის, სულ მცირე ანბანურ დონეზე. ანუ, საქმე გვაქვს ორენოვან სიტყვათა თამაშთან.

(2) რამდენიმე წლის წინ, კომპანია „ჯეოსელმა“ თავის აბონენტებს შესთავაზა მომსახურების ახალი სერვისი, რომლის სარეკლამო ტექსტშიც ასეთი ორმაგი კალამბური იყო წარმოდგენილი. „**ამ2 ბარათით, თქვენ შეგიძლიათ...**“ საინტერესოა, რომ **ამ 2** (შეერთებულად – **ამორი**,) რაოდენობრივი მოცემულობის გარდა, გრძნობასაც აღნიშნავს (**ამორ** - სიყვარული). სერვისის ხასიათიდან გამომდინარე კი, შეთავაზება ეხებოდა შეყვარებულ წყვილებს. სიტყვათა თამაში მიიღწევა მულტილინგუალიზმის საფუძველზე.

(3) ტელეარხ „იმედზე“ გასული საინტერესო პროექტი, სახელწოდებით „ჩვენი საქართველო“. პროექტის სახელი კი ასეთი სახითაა წარმოდგენილი – „**საქ art ველო**“ (რაც, შესაბამისად პროექტის მთავარ მიმართულებასაც გამოხატავს – **art** - ხელოვნება). ასევე ორენოვანი კალამბურის სახეა წარმოდგენილი.

(4) რუსთაველის კინო-თეატრში, რამდენიმე წლის წინ გავიდა უცხოური მხატვრული ფილმი, რომლის სახელწოდებაც ამ კუთხით წარუდგინეს

მაყურებელს: „სიახლოვე“. ამ ვარიანტით წარმოდგენილი ფილმის სათაური აშკარად სასიყვარულო ისტორიაზე მიუთითებდა. მაყურებელთა უმრავლესობა კი, ამ სიტყვას პირდაპირ, ქართული ენის პრინციპით, ე.წ. „ბუკვალურად“ **ლოვე** და არა **ლაგ** კითხულობდა.

(5) ლიბერთი ბანკის რეკლამა ახალ საბანკო მომსახურებაზე. „ლიბერთი ბანკი“ ქართულ საბანკო სივრცეში ახალ საბანკო მომსახურებას ნერგავს.

სმარტივი „ლიბერთი ბანკის“ მიერ შემუშავებული საბანკო მომსახურების თანამედროვე ალტერნატივაა, რომლის საშუალებითაც მომხმარებლები თანამედროვე საბანკო მომსახურების სრულ პაკეტს მიიღებენ. მასში შედის: ბარათით მართვადი სრულფასოვანი საბანკო ანგარიში; კომუნალური, საკომუნიკაციო და სხვა სახის გადასახადების **მარტივად** გადახდის საშუალება; თანხის დაგროვების ინსტრუმენტი, დანაზოვის მომენტალურად გატანის შესაძლებლობით და მაღალი სარგებლით; თანხის განაღდების შესაძლებლობა როგორც ბანკომატებიდან, ასევე „ლიბერთი ბანკის“ სერვის ცენტრებიდან.

რეკლამის შინაარსობრივი დატვირთვა შეესაბამება ახალი საბანკო მომსახურების სახელის „**სმარტივი**“. (**Smart** ინგლისურიდან თარგმანით ნიშნავს – მოწესრიგებულს, მოხერხებულს, გონივრულს). სიტყვათა თამაში იქმნება ბილინგუალიზმისა და ომოფონიის საფუძველზე.

(6) ორენოვანი სიტყვების თამაშია შემდეგ რეკლამაშიც. ლუდის რეკლამა: **აღუდა – “Вот Алуда! А где Люда? Алуда лучше, чем Люда! აღუდა სჯობს!”** რეკლამის ხატოვანი დონე ასეთია: ლუდის კათხა, ბევრი ქაფი, ქართველი და რუსი მამაკაცები მიირთმევენ ლუდს. ქართველი ახალგაზრდა ასხამს ლუდს და აწვდის წელს ზევით შიშველ რუსი ეროვნების მამაკაცს. ჩამოსხმისას კათხიდან გადმოდის ბევრი ქაფი. რუსი ეროვნების მამაკაცს ლუდის დაღვევა დიდ სიამოვნებას ანიჭებს. შედარება ხდება ქალთან. უპირატესობა კი ლუდს ენიჭება. ვერბალური პარალელიზმი – (**Вот Алуда! А где Люда? Алуда лучше, чем Люда!**) ხდება ორი სახელის შედარება (ქალის და ლუდის), სადაც მათ განსხვავებაზეა მითითება. კალამბური - სიტყვათა თამაში ერთი მხრივ, ახდენს ლუდის და

ქალის შედარებას, რაც იუმორის სახითაა გადმოცემული. ვერბალურად მოცემულ სახელებში არის მსგავსება (არა შინაარსობრივი), არამედ ფორმალური. სიტყვათა თამაში მიუთითებს მოჩვენებით წინააღმდეგობაზე.

ვიზუალური მხარე – ლუდის ბოთლისა და ლუდით სავსე ჭიქის ჩვენება. ლუდის ამოსვლა ჭიქიდან, რადგან მოქმედება ხდება აბანოში. მითითებაა გამაგრილებელ სასმელზე, რომლის სახელწოდებაც ალუდაა. მას მიირთმევენ აბანოში (საუნაში), რაც იწვევს გართობის ასოციაციებს. მოლოდინი ლუდასთან შეხვედრისა იცვლება ლუდით „ალუდა“, რომელსაც უპირატესობა ენიჭება ქალთან შედარებით. სახელი ალუდა მიუთითებს, რომ ლუდის მომხმარებელთა მიზნობრივი ჯგუფს წარმოადგენენ მამაკაცები. ის არის გაგრილების საუკეთესო საშუალება, რომელიც შეიძლება ამჯობინო საუნაში ქალთან შეხვედრას კი. ამ ლუდის მამაკაცური თვისებების გამოყოფა გათვლილია ძირითადად მამრობითი სქესის წარმომადგენლებზე. მეორე მხრივ, ალუდა ხევესურული სახელია და ლუდიც ხევესურულ სასმელად ითვლება საქართველოში.

(7) თბილისში, მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩის კედელზე, ასეთი წარწერაა: **ნარკ off მანია**. ამ სიტყვაში, **off** –ის ჩასმით (**off** - გამორთვა), იკვეთება გზავნილის, ადრესანტის პოზიცია. უარი ნარკომანიას. გამოკვეთილია გაფორმების არაორდინალურობა, რომელიც აღმქმელზე დიდ ესთეტიკურ გავლენას ახდენს თავისი თამაშობრივი ხასიათით.

წარმოდგენილ მაგალითებში ერთმანეთს კვეთს ორი ენობრივი ლექსიკური ერთეული. მასკულტურის ყველაზე პოპულარულ სფეროში – რეკლამაში კი, ამ საინტერესო ენობრივ ექსპერიმენტთა მიზანი, რეციპიენტის გაცემა და დაინტერესებაა, რაც წარმატებით მიიღწევა.

(8) ქართული ლუდის კომპანიამ, შექმნა ხევესურული ლუდის სახალისო რეკლამა. რეკლამა სიტყვათა თამაშის, ერთ-ერთი სახეობის, ონომატოპეის საფუძველზეა აგებული და ამ სიტყვებით იწყება: „სხვადასხვა ადგილას, ერთი და იგივე ხმა განსხვავებულად ესმით“. ისმის მამლის ყვილი, ამერიკელი ამბობს: „**კოკ-ე დუ - დულ-დუუ**“, რუსი - „**კუკარეკუუ**“, ქართულად - „**ყიყლიყო**“.

შემდეგ კი უკვე ხდება ხმაბაძვითი იმიტაცია, რომ გერმანულად და ინგლისურად ლუდი არის **beer, bier**, რადგან იქ ლუდის დაღვევის ხმა ასე ესმით **bier bier bier...** სკანდინავიურ ენებზე, ლუდი არის **ol ol ol**, ქართულად კი, ლუდს ჰქვია ლუდი, იმიტომ, რომ მისი ჩაყლაპვისას ასეთი ხმა ისმის: **ლუდ ლუდ ლუდ...**

რეკლამა ძალიან სახალისოა და ბევრი მაყურებლის ყურადღება დაიმსახურა. ცხადია, რომ სიტყვათა თამაშის სხვადასხვა სახეობის გამოყენების ტექნიკა რეკლამა - განცხადებებში ნამდვილად ამართლებს და აღწევს სასურველ შედეგს, მომხმარებელთა ყურადღების გამოწვევასა და მიპყრობას.

(9) აღსანიშნავია, რომ „ჯეოსელი“ განსაკუთრებით ხშირად მიმართავს სიტყვათა თამაშს. უკანასკნელ ხანებში კი კომპანიამ ამ მეთოდით სარეკლამო რგოლების მთელი ციკლი შექმნა - **„ზუმი/ზუმერანგი; განზუმილების“** სახით. სიტყვათა თამაში ეფუძნება ონომატოპეას (ხმაბაძვითი სიტყვები). ხმაბაძვა **„ზუმ“** ზარის ხმის იმიტაცია, გამოყენებულია სიტყვებში **„ზუმი/ზუმერანგი; განზუმილების და სხვ.“**

(10) ასევე, ჯეოსელის მიერ გაკეთებული შემოთავაზება: **„გა1ანდი“** - მიიღეთ 1 თეთრიანი ტარიფი SMS-ზე, MMS-ზე, ზარზე და მობილურ ინტერნეტზე. გარდა იმისა, რომ ამ რეკლამაში ვიზუალური სიტყვათა თამაშია, ასევე ფრაზა, **„გა1ანდი“** უკავშირდება შემოთავაზებას - მიიღეთ 1 თეთრიანი ტარიფი.

მსგავსი ტიპის რეკლამა აქვს დაგროვებით ბარათს **UNICARD**. სხვადასხვა სახის პროდუქციის შექენისას, გთავაზობენ **„გა2მაგებულ“** ქულებს. რეკლამაში, სიტყვათა თამაში, მხოლოდ ვიზუალურ დონეზე ხორციელდება.

(11) ხშირად ვხვდებით ქსეროქსის აპარატებთან გაკეთებულ ე.წ. სლოგანს. **„დაბეჭდე ყველა ფ ე რ ი“**, სადაც სიტყვა **ფერი** - სხვადასხვა ფერადაა დაბეჭდილი. ასეთი სახის თამაში ხან ერთი ენის ფარგლებში და ხან ენის მინიმუმ, ორ ენათაშორის სიბრტყეზე ხორციელდება - **ყველაფერი**, როგორც ერთი მთლიანობა და **ყველა ფერი** ანუ სხვადასხვა ფერი). სიტყვის

პოლისემიურობისა და ომონიმის თვალსაზრისით მიიღწევა სიტყვათა თამაში, რაც თავისთავად რეკლამის კუთხით თვალში მოსახვედრია.

ასევე თბილისის შესასვლელში გახსნილ, ყველასათვის კარგად ცნობილ ე.წ. „ლილოს“ სავაჭრო ცენტრის შესასვლელთან დიდი აბრაა გაკეთებული, სადაც წერია: **„აქ ყველაფერია“**. თვითონ აბრაა სხვადასხვა ფერშია გაფორმებული, თუმცა მასზე გაკეთებული წარწერა სულაც არ გულისხმობს ამას (სხვადასხვა ფერს). **„აქ ყველაფერია“** – ანუ, ესაა ადგილი, სადაც ყველაფრის შექენა შეგიძლიათ და ეს ყველაფერი სხვადასხვა ფერია. რეკლამა ორაზროვანი, სახალისო და სასიამოვნოა.

(12) საქართველოში არსებობს ასეთი ჟურნალი, ქალებისათვის, რომლის სახელწოდებაცაა **„... და ქალი“**. ჟურნალში, განხილულია ჩვეულებრივი, ყოველდღიური და ყოფითი პრობლემები ქალების შესახებ. გარკვეულწილად, ჟურნალის სახელწოდება ორაზროვანია. დასაწყისში მოცემული მრავალწერტილი, თავისუფალი არჩევანისაკენ მოგვიწოდებს, ვიგულისხმოთ ნებისმიერი ვინმე ან რაიმე **და ქალი**. ასევე თუ ომონიმისა და პოლისემიის კუთხით მივუდგებით, შესაძლოა მისი სხვაგვარად გაგება, როგორც დაქალი (მეგობარი). ამგვარად, ვფიქრობთ ჟურნალის სათაური სპეციალურადაა შერჩეული ორაზროვნად, რათა გამოიწვიოს მკითხველის დაინტერესება. ასევე კავშირშია რეალობასთან. ქალები ხომ დაქალების გარეშე ვერ ძლებენ?!

ამავე ჟურნალის მე-11 ნომრის ყდაზე მოცემულია **ნომრის (ნომრის)** თემა: „როგორ შევინარჩუნოთ ურთიერთობები“. აქაც ორაზროვნებას ვხვდებით, რასაც მკვეთრად დაწერილი ასოები მიგვანიშნებს. პირველ შემთხვევაში – **ნომრის** თემა, ხოლო მეორე შემთხვევაში **რის** თემა. ომონიმისა და ომოფონიის საფუძველზე შექმნილი ორაზროვნება, იწვევს მკითხველის დაინტერესებას.

(13) ჟურნალი **„გზა“**. ამ ჟურნალში არის ასეთი გვერდი **„გზავნილები“**, სადაც ჟურნალის სახელწოდება **გზა** მკვეთრადაა დაწერილი. ასეთი ორაზროვნება, თავისთავად ხაზს უსვამს, როგორც ჟურნალის სახელწოდებას, ისე მოცემული გვერდის თემატიკას/მიმართულებას.

(14) საინტერესოა, ქუჩაში ნაგვის ყუთთან დაწერილი წინადადება:

„საქართველოში, ყველგან და ყოველთვის ანაგვიანებენ, ან აგვიანებენ“

წინადადებაში გამოყენებულია ომონიმური რითმა, სადაც ორივე ზმნა უარყოფითი მნიშვნელობისაა, ორივე დამახასიათებელია ქართველებისათვის. ქართველები ნაგავსაც ყრიან (ანუ ანაგვიანებენ) და ცნობილები არიან თავიანთი არაპუნქტუალურობით ანუ დაგვიანებით. ამავე დროს, სატირულ-იუმორისტული დატვირთვაცა აქვს. კალამბურული სიტყვათა თამაში და შესაბამისად ორაზროვნება იქმნება ომონიმის საფუძველზე.

(15) შემდეგ მაგალითს წარმოადგენს სარეკლამო „სლოგან“:

1. Antique desk suitable for a lady with thick legs and large drawers .

(იყიდება ანტიკური მაგიდა დიდი უჯრებით მსხვილფეხიანი ქალბატონისთვის).

გრამატიკულად უფრო გამართული იქნებოდა წინადადების შემდეგი ვარიანტი, თუმცა ირონიას მოკლებული.

2. Antique desk with thick legs and large drawers suitable for lady.

(იყიდება ანტიკური მაგიდა მსხვილი ფეხებითა და დიდი უჯრებით შესაფერისი ქალბატონისთვის).

პირველ ვარიანტში, რომელიც იუმორისტულად უფრო დატვირთულია საქმე გვაქვს სტრუქტურულ-სინტაქსური ორაზროვნებით გამოწვეულ კალამბურულ სიტყვათა თამაშთან. ორაზროვნებას იწვევს სასვენი ნიშნების არ არსებობა.

მეორე ვარიანტში, რომელიც ნაკლებად იუმორისტულია, თუმცა გრამატიკული თვალსაზრისით უფრო მეტად გამართული, მაინც ორაზროვანია.

1. მაგიდა, შესაფერისი ქალბატონისათვის.

2. მაგიდა შესაფერისი ქალბატონისათვის.

ასეთი სახით შექმნილი „სლოგანი“ სახალისო და იუმორისტულია.

(16) სტრუქტურულ – სინტაქსურად ორაზროვანია შემდეგი წინადადებაც, რომელიც საგზაო ნიშანზეა მოცემული:

Always wait for the green man to cross

(ყოველთვის დაელოდეთ მწვანე კაცს რომ გადაკვეთო).

ა) **[Always wait for] the green man to cross**

(ყოველთვის მოიცადეთ, სანამ მწვანე კაცი გადაკვეთს).

ბ) **[Always wait for the green] man to cross**

აღამიანო, ყოველთვის დაელოდე მწვანეს რომ გადაკვეთო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორაზროვნებასა და კალამბურულ სიტყვათა თამაშს ქმნის სასვენი ნიშნების არასწორად გამოყენება ან მათი საერთოდ უგულებელყოფა.

ამგვარად, ჩვენს მიერ განხილული მაგალითების საფუძველზე, ნათელია, რომ სიტყვათა თამაშის სხვადასხვა მახასიათებელი და კატეგორია, სახალისო რეკლამა – განცხადებების შექმნის საუკეთესო საშუალებაა.

მეხუთე თავის დასკვნა

